# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 თებერვალი 2001 №15 (1288) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 დაიფიცეთ ბიბლიაზე!

სატრანსფერო ქაოსთან ბრძოლის ახალი ხერხი

8 ჰადსონი, გაზეთი, ვაშლი და ორი ბოთლი



70-იანი წლების ვარსკვლავი არყის ქურდობისთვის დააკავეს

11 ცასა და დედამიწას შორის

რა აქვთ საერთო ოლიმპიზმსა და ალპინიზმს

14 კაპიტანმა თასი გამოაჩინა

რუმინელებმა თბილისში მოპოვებული ავსტრალიაში იპოვეს

14 შაკი უდენოდ



ფორმულა 1-ის ექს-ჩემპიონ ვილნევს საცოლე გაექცა

# თავდასხმა კალაძეზე

## გუშინ მილანის მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ქართველი მცველი პირველად ათამაშა







გუშინ მილანელოში: კახა კალაძემ „მილანის“ მაისურით პირველად ითამაშა. ჯერ მხოლოდ საწვრთნელ მატჩში

კახა კალაძემ გუშინ პირველად მოირგო „მილანის“ მაისურა და სამოყვარულო გუნდ „ტრადატეს“ წინაალმდეგ საწვრთნელ მატჩში ითამაშა.

ჩვენებურმაც და სხვებმაც დილის ორსაათიანი ვარჯიშის შემდეგ მოედანზე თითო ტაიმი ანუ 30 წუთი დაჰყვეს. „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ კალაძე ცენტრალურ მცველად ათამაშა.

მატჩის შემდეგ ძაკერონიმ თქვა, კალაძის თამაშით კმაყოფილი ვარო, მერე ისიც დაამატა, ვერ შეგპირდებით, რომ კალაძის დებიუტი სერია A-ში 4 თებერვალს „რეჯინასთან“ შედგება, მაგრამ ქართველი საამმატჩო განაცხადში აუცილებლად იქნებაო.

„ტრადატეს“ წინაალმდეგ „მილანმა“ ორი გუნდით ითამაშა. პირველ ტაიმში მილანელთა შემადგენლობა ასეთი იყო: როსი; როკე ჟუნიორი, კალაძე, სალა; ბა, გატუზო, პაბლო გარსია, სერჟინიო; ბობანი; ლეონარდო, ბირჰოფი. მეორე ოცდაათწუთეულში ძაკერონიმ ესენი ათამაშა: ფიორი; ჰელვეგი, კოსტაკურტა, სალა; გულიელმინპიეტრო, ამბროზინი, ჯუნტი, კოკო; ბობანი; კომანდინი, შევჩენკო. მატჩი „მილანმა“ მოიგო — 5:0. გოლები ლეონარდომ, ბირჰოფმა, შევჩენკომ, გულიელმინპიეტრომ და ჯუნტიმ გაიტანეს.

ალბერტო ძაკერონიმ, კალაძეს რომ უკეთ დაჰკვირვებოდა, პირველ ტაიმში შეგირდები დაცვაზე აქცენტირებული ტაქტიკით ათამაშა. მილანელები იშვიათად უტევდნენ, მეტოქეს თავიანთ საჯარიმომდე განზრახ იახლოვებდნენ და კახასაც ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მასაც და „მილანის“ სხვა მცველებსაც ურიგოდ არ უთამაშიათ.

გუშინაც, ნამატჩევს, გუშინწინდელივით, „მილანში“ პირველი ვარჯიშის შემდეგ, კახა მილანელოს საწვრთნელი ბაზიდან სწრაფად გაუჩინარდა და ჩვენი იტალიელი კოლეგების „შტურმი“ მოიგერია. მისი მეგზური, ბაზაზეც და ქალაქშიც, რა თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკოა, ჩვენებურიც მთელ დღეს უკრაინელ ვარსკვლავთან ერთად ატარებს და შესაფერის ბინას ეძებს. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისაც სწორედ შევჩენკოსთვის უთხოვია, კახას სახლის არჩევაში დაეხმარეო.

იტალიელმა ჟურნალისტებმა კი „მილანის“-ის სავარაუდო შემადგენლობა გამოაქვეყნეს, რომელიც, მათი აზრით, 4 თებერვალს „რეჯინას“ დაუპირისპირდება: აბიატი; როკე ჟუნიორი, მალდინი, კალაძე; ჰელვეგი, ჯუნტი, ამბროზინი, კოკო; ლეონარდო; შევჩენკო, ბირჰოფი.

**ძოზა ინასარიძე**

# გულიანი, გოლიანი, ქალიანი

*გოლები — ბლომად, ჟინი — იცოცხლეთ, ჩხუბიც იყო, შიშველი ქალიც გავარდა მოედანზე... ერთი სიტყვით გუშინ ევროპამ ჩვეულად იბურთავა. გამორჩეული კი მაინც ერთი თამაში იყო. პრემიერლიგის ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ უახლოეს მდევარ „სანდერლენდს“ ესტუმრა და ენდი კოულის ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. კოულს გოლით გახარება არ დასცალდა, რომ მსაჯმა ისიც და მასპინძელი ალექს რაე მოედნიდან მიაბრძანა ერთმანეთზე ხელდახელ გაწევისთვის. თითქოს ბედადო, შიშველი ქალიც ამ ვნებამოძალებული თამაშის წილი გამოდგა.*

იხილეთ მეორე გვერდი




REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სანდერლენდიდან

სანდერლენდი — მანჩესტერი: ცნობილი ქართული ნათქვამისა არ იყოს, მოედანზე შემოვიდა, არც მეტი, არც ნაკლები, შიშველი ქალი

# ევროპა 31 იანვარი

## ინგლისი

XXV ტური

**ჩელსი 3:1 ნიუკასლი**

0:1 ბასედასი (23), 1:1 ძოლა (37), 2:1 პოიეტი (62), 3:1 გრონკიაერი (79)

**ლიდსი 1:0 ქოვენთრი**

1:0 რობი კინი (69)

**მანჩესტერ სიტი 1:1 ლივერპული**

0:1 ჰესკი (43), 1:1 ტიატო (48)

**საუთჰემპტონი 1:0 ლესტერი**

1:0 პეტრესკუ (78)

**სანდერლენდი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ენდი კოული (46)

**ვესტ ჰემი 0:0 ტოტენჰემი**

**ევერტონი 2:2 მიდლსბრო**

0:1 რიკარდი (11), 1:1 ნეისმიტი (49), 1:2 კუპერი (63), 2:2 ტალი (79)

I დივიზიონი. გადადებული მატჩი:

**ქუინზ პარკი 0:2 ფულემი**

ლიგის თასი. ნახევარფინალი. II მატჩი

***ბირმინგემი (I)* 4:1დ.დ. (2:1) იფსვიჩი (0:1)**

1:0 გრენჯერი (43), 2:0 ჰორსფილდი (56), 2:1 შოუკროფტი (57), 3:1 ჰორსფილდი (103), 4:1 ჯონსონი (110)

*ფინალში 4 მარტს, ერთმანეთს „ლივერპული" და „ბირმინგემ სიტი" შეხვდებიან*



REUTERS ბირმინგემიდან

ბირმინგემი — იფსვიჩი. იფსვიჩელთა მეკარე რიჩარდ რაიტმა დელე ადებოლას ბურთი „ცხვირწინ" ააცალა

## საფრანგეთი

ლიგის თასი. მერვედფინალი

***მონაკო* 2:1 ბასტია**

0:1 ანდრე (50პ), 1:1 ლაკომბი (84), 2:1 სიმონე (89)

***შატორუ (II)* 1:0 ბორდო**

1:0 ლაკე (40)

**ლანსი 1:3 *ლიონი***

0:1 ედმილსონი (24), 1:1 ფუერტესი (55), 1:2 ლეგლი (60), 1:3 მარლე (70)

***ტრუა* 2:0 ნანსი (II)**

1:0 ბუტალი (62), 2:0 გუსე (87)

***ნიორი (II)* 1:0დ.დ. (0:0) ლე ავრი (II)**

1:0 ნდიაე (99)

***ამიენი (II)* 3:2დ.დ. (1:1) ვასკეალი (II)**

0:1 შანლო (48), 1:1 პ. ლერუა (83ს.კ.), 2:1 აბალო (94), 2:2 დე ბაეტსი (99), 3:2 დარბალე (107)





ტრუა — ნანსი. ფეხი თავის წინაალმდეგ. ვინ შესწვდება ბურთს: ნანსელი იუსუფ მუსტედი თუ ჟერომ მონიე?

## ჰოლანდია

XIX ტური

**ნაიმეგენი 2:3 როზენდალი**

0:1 ბლინკერი (44), 0:2 ვოსი (55), 1:2 გ. ხრისტოვი (61), 2:2 ვისგერჰოფი (70), 2:3 კასი (89)

**ვიტესი 2:4 ბრედა**

0:1 საიმონსი (3), 0:2 სალმონი (11), 1:2 კლასენსი (28), 1:3 სტიუარტი (38), 1:4 საიმონსი (54), 2:4 კლასენსი (81)

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 გრონინგენი**

1:0 კეიმანი (35), 2:0 ვოგელი (42), 3:0 ვან ბომელი (65)

**ჰერენვენი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 დ. დე ნოიერი (90)

**სიტარდი 1:0 როდა**

1:0 ბიეკოვიჩი (8)

**ტილბურგი 4:1 სპარტა**

0:1 ელხატაბი (1), 1:1, 2:1 ლანდზაატი (45პ, 61), 3:1 ვან დერ მეერი (71ს.კ.), 4:1 ბომბარდა (89)

## შოტლანდია

XXVI ტური

**დანდი 2:3 დანდი იუნაიტედი**

0:1 დავიდსონი (33), 1:1 კანიჯა (45), 1:2 ისტონი (46), 1:3 ლაკლანი (78), 2:3 ფალკონერი (88)

**ჰართსი 1:0 სენტ მირენი**

1:0 კამერონი (75პ)

**მოზერუელი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 მაკკალოხი (69), 1:1 ბულენი (89)

**რეინჯერსი 1:0 აბერდინი**

1:0 თუგაი (34)

**სენტ ჯონსტონი — სელტიკი**

გადაიდო

## თურქეთი

თასის მეოთხედფინალი

*გენჩლერბირლიგი — ქოჯაელისფორი 4:2დ.დ. (2:2); ტრაბზონსფორი — გალათასარაი 1:4; ისთანბულსფორი — ბეშიქთაში 0:3*

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი.

I მატჩები

**რასინგი 1:1 სარაგოსა**

0:1 იორდი (1), 1:1 არსენო (72)

**სელტა 3:1 მალიორკა**

0:1 ფინიდი (15), 1:1, 2:1 გუსტავო ლოპესი (51პ, 69), 3:1 კასერესი (78)

**გრანადა (III) 0:1 ატლეტიკო (II)**

0:1 კორეა (41)

## პორტუგალია

სუპერთასი. II მატჩი

**სპორტინგი 0:0 პორტუ (0:2)**

## საბერძნეთი

თასის მერვედფინალი.

II მატჩები

**იანინა 1:2 *ირაკლისი* (1:2)**

**იონიკოსი 3:1 *ძსანტი* (0:2)**

***პანათინაიკოსი* 7:2 პანიონიოსი (0:1)**

***პაოკ* 2:0 არისი (1:1)**

# ოქროს ბუცის, ცოლის ტუჩის, ალალ მისი, ალალ მისი...

გუშინ ბელგიურ ქალაქ ოსტენდეს „ოსტენდ კაზინოში" ამ ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დააჯილდოვეს. 2000 წლის ბელგიური „ოქროს ბუცი" ბრიუსელის „ანდერლეხტის" ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა ჩაიბარა. ჟურნალისტთა და სპეციალისტთა გამოკითხვით საუკეთესოს პირველობაში თანაგუნდელები, ივ ვანდერეგე და ვალტერ ბასეჯიო ეცილებოდნენ, ესენი შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდნენ. კოლერი ოსტენდეს მეუღლესთან, ჰედვიკა ჰორვატოვასთან ერთად ეწვია და, დახეთ, როგორ ხარობს ოჯახი: ალალი ამბორია, შოუ-კოცნას კი არა ჰგავს.



REUTERS ოსტენდედან




☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

## კონტრ აქტი არგუმენტი

# რა იდო ბანკის სეიფში

## ბილეთის ფული თუ მილიონები?

ეკუთვნის თუ არა თბილისის „დინამოს" კახა კალაძის ტრანსფერიდან 50 პროცენტი და თუ ეკუთვნის, მიიღებს ამ თანხას კლუბი? ეს კითხვები დღეს ერთობ აქტუალურია ჩვენში. არის სხვადასხვა ვერსია. ამ საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით ლაპარაკია ორ განსხვავებულ კონტრაქტზე. გარკვევით კი ჯერაც ბევრი რამ გასარკვევია.

გუშინდელ „სარბიელში" მკითხველი გაეცნო იმ სადავოდ ქცეული კონტრაქტის ფინანსურ მუხლებს რომელიც ვაჟა ჟვანიამ გამოამზეურა და რომელიც ფაქტობრივად ახალი სკანდალის წინაპირობას ქმნის.

როგორ მოხვდა ეს კონტრაქტი ვაჟა ჟვანიას ხელში? ჟვანიას თქმით, მან ის ს.ს. „აგრომრეწვბანკში" მოიპოვა. — კონტრაქტი ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა კოტე ლაშხმა გადმომცა — ამბობს ჟვანია.

კოტე ლაშხი დღეს ს.ს. „აგრომრეწვბანკში" ძველ თანამდებობაზე აღარ მუშაობს, მაგრამ ჩვენი ცნობისწადილის დაკმაყოფილებას დიდსულოვნად დათანხმდა. მეტიც, ს.ს. „აგრომრეწვბანკში" მიგვიწვია და ის პიროვნებებიც შეგვახვედრა, „დინამოსა" და ბანკს შორის სესხის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებას პირადად რომ ესწრებოდნენ. სკანდალურ კონტრაქტთან დაკავშირებით ს.ს. „აგრომრეწვბანკში" აი, ეს შევიტყვეთ.

*გიორგი ბურჭულაძე — ს.ს. „აგრომრეწვბანკის" აღმასრულებელი დირექტორი:*

— ჩემთვის ცნობილია „დინამოსთან" გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების დეტალები, მაგრამ ვინაიდან მაშინ ამ თანამდებობაზე არ ვმუშაობდი, ბევრს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ამ სესხის წყალობით ჩვენმა ბანკმა დიდი ზარალი ნახა. მისაღები 38 532 დოლარიდან დღეისათვის მხოლოდ 7 000 დოლარი მივიღეთ, დარჩენილი თანხა კი, ანუ 31 532 დოლარი ს.კ. „დინამოს" ჩვენი მართებს და არავინ იცის, როდის გადაიხდის ამ ვალს.

*კოტე ლაშხი — ს.ს. „აგრომრეწვბანკის" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი:*

1999 წლის 22 იანვარს ს.ს. „აგრომრეწვბანკს" თხოვნით მიმართა ს.კ. „დინამოს" ხელმძღვანელობამ... იმხანად მოსკოვში ტარდებოდა ესენგეს თასის გათამაშება, სადაც „დინამოსაც" უნდა მიეღო მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით „დინამოს" მესვეურები კრედიტის გამოყოფას ითხოვდნენ. გაფორმდა ხელშეკრულება 50 ათას ლარზე. „დინამო" ამ თანხის დაბრუნებას თავის პროცენტებიანად (თვეში ხუთ პროცენტიანი განაკვეთი) მაქსიმუმ ერთ თვეში დაგვპირდა, მაგრამ თადარიგი დავიჭირეთ და ხელშეკრულება ოთხი თვით — 1999 წლის 22 მაისამდე გავაფორმეთ. აღნიშნულ ვადაში თანხა ვერ დაიფარა და ბანკმა რამდენჯერმე ოფიციალურად მიმართა „დინამოს" კრედიტის დაბრუნების თაობაზე. ასე გაგრძელდა 1999 წლის დეკემბრამდე. ჩვენს მოქმედებას სასიკეთო შედეგი რომ არ მოჰყვა, მივმართეთ დიდუბის რაიონის სასამართლოს. სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და კლუბს 38 532 დოლარის გადახდა დააკისრა.

2000 წლის გაზაფხულზე კლუბში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა — „დინამოს" პრეზიდენტად მერაბ რატიანი, ხოლო გენერალურ მდივნად ვაჟა ჟვანია დაინიშნენ. ჩვენ შევეხმიანეთ ახალ ხელმძღვანელებს, მათ დაადასტურეს ბანკის წინაშე კლუბის ვალდებულება და ვალის გასტუმრებას დაგვპირდნენ. მალე ვაჟა ჟვანიამ 7 000 დოლარი შემოიტანა ბანკში, სესხის ნაწილი დაფარა და დანარჩენი თანხის გადახდის საგარანტიო წერილიც მოაყოლა. ჟვანია დაგვპირდა, რომ დარჩენილ 31 532 დოლარს წიტაიშვილის და დიდავას ტრანსფერიდან შემოსული ფულით გაისტუმრებდა „დინამო", მაგრამ ვალი დღესაც გაუსტუმრებელია. ვის არ მივმართეთ რობინზონ თუშურაშვილით დაწყებული, ვალერი ჩოლარიათი დამთავრებული, მაგრამ ამაოდ...

7 000 დოლარის შემოტანისას ვაჟა ჟვანიამ, როგორც კლუბის გენერალურმა მდივანმა, მოითხოვა მთლიანი საკრედიტო საქმე. მას, ბუნებრივია, ჰქონდა ამის უფლება. თანაც განაცხადა, რომ კლუბის ოფისში საბანკო საბუთები ვერ აღმოაჩინა. ამიტომ ჩვენ ყველა საბუთის ქსეროასლი გავაკეთეთ და გადავეცით ვაჟა ჟვანიას. სხვათა შორის, ერთი ასლი „დინამოს" და ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიასაც გადავეცით. თქვენთვის საინტერესო კითხვაზე კი იმას გეტყვით, რომ ვაჟა ჟვანიამ სწორედ იმ კონტრაქტის ასლი წაიღო, რომელიც „დინამოს" ხელმძღვანელებმა გადმოგვცეს. ბუნებრივია, ჩვენ გვქონდა მისი გაცემის უფლება, რადგან აღნიშნული კონტრაქტი „დინამოსთან" საკრედიტო ხელშეკრულების საგარანტიო ნივთს არ წარმოადგენდა.

*ალექსანდრე თოდუა — „ს.ს. „აგრომრეწვბანკის" დირექტორი:*

— 1999 წლის 22 იანვარს ჩვენს ბანკში მერაბ ჟორდანია, რომიკო შოთაძე და მერაბ რატიანი მოვიდნენ. გვითხრეს, დრო არ ითმენს, მოსკოვში გასამგზავრებლად სასწრაფოდ გვესაჭიროება 70 ათასი ლარი, თანხას მაქსიმუმ ერთ თვეში უპრობლემოდ დაგიბრუნებთო და თავიანთი სიტყვების გასამყარებლად ერთ-ერთმა (ზუსტად არ მახსოვს) ჩანთიდან ოთხგვერდიანი კონტრაქტი ამოიღო. იგი აღმოჩნდა ფეხბურთელ კალაძის ტრანსფერთან დაკავშირებული კონტრაქტი თბილისის „დინამოსა" და კიევის „დინამოს" შორის. მახსოვს, „დინამოს" მესვეურები მაშინ იმასაც გვეუბნებოდნენ, ხომ ხედავთ, რომ წერია, უკრაინული „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობისთვის 100 ათასი დოლარი გვერგება და თანხის გადახდის პრობლემა არ გვექნებაო. ეს პუნქტი მართლაც ეწერა კონტრაქტში და საბოლოო ჯამში ხელშეკრულება გავაფორმეთ. ოღონდ კონტრაქტი საგარანტიოდ არ ჩაგვიდვია საქმეში. უბრალოდ, ხელშეკრულება გაფორმდა ურთიერთნდობის საფუძველზე და 50 ათას ლარზე, რადგან 70 ათასის რესურსი იმ დღეს არ აღმოგვაჩნდა.

ამის შემდეგ კოტე ლაშხმა საკრედიტო ხელშეკრულება გვაჩვენა, რომელშიც სესხის საფუძველს ნდობითი კრედიტი უდევს პირობად. აღნიშნულ ხელშეკრულებას „დინამოს" მხრიდან მერაბ რატიანი აწერს ხელს.

*კოტე ლაშხი:* „ჩვენ რომ გაგვეთვალისწინებინა და კალაძის კონტრაქტი საქმეში ჩაგვედო, ბუნებრივია, ამის საფუძველზე მოვთხოვდით „დინამოს" პასუხს, მაგრამ ეს კონტრაქტი დღეისათვის ს.ს. „აგრომრეწვბანკისთვის" ფარატინა ქაღალდია.

დაბოლოს, მასპინძლებმა დამშვიდობების წინ იმ კონტრაქტის ქსეროასლი გვაჩვენეს, რომელიც „დინამოს" ხელმძღვანელობისგან მიიღეს 1999 წლის 22 იანვარს და რომელიც 2000 წლის 11 მარტს ვაჟა ჟვანიას გადასცეს. ბანკირების მიერ წარმოდგენილი ასლის 2.5. პუნქტის თანახმად, კიეველთაგან კალაძის გაყიდვის შემთხვევაში თბილისის „დინამოს" სატრანსფერო თანხის (იქვე აღნიშნული ხარჯების გამოკლებით) 50 პროცენტი ერგება.

**პაატა ქვანტალიანი**



# ხურცილავა მესაზღვრეში განსაზღვრავს

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მეტად უხეიროდ დაიწყო, — ორივე მატჩი წააგო, თუმცა ფეხბურთის ფედერაციას გუნდის მწვრთნელები არ დაუთხოვია. ლიტვისა და იტალიის შემდეგ მურთაზ ხურცილავასა და მის შეგირდებს გარკვეული რეაბილიტაციის შანსი ეძლევათ — 14 თებერვალს ეროვნული ნაკრების დარად უკრაინელებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

ჩვენი 21-წლამდელები მატჩამდე [illegible] შეიკრიბებიან და სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდებიან. მურთაზ ხურცილავამ უკვე დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლები უკრაინელთა წინააღმდეგ ნაკრებს [illegible] მოირგებენ, თუმცა დასძინა, შესაძლოა ცვლილებები იყოსო. ერთი სიტყვით, შემადგენლობა საბოლოო ჯერ მაინც არ არის. ამ დროისთვის კი ხურცილავას რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: *მირზა მერლანი („ვიტ ჯორჯია"), დავით ხმელიძე („როსტსელმაში", რუსეთი), ზურა ბათიაშვილი („დინამო");*

მცველები: *მამუკა წერეთელი (უგუნდოდ), ედიკ საჯაია („ვიტ ჯორჯია"), ოთარ ხიზანეიშვილი („სპარტაკი", რუსეთი), ვალერი აბრამიძე (უგუნდოდ), დავით კვირკველია („კოლხეთი");*

ნახევარმცველები: *ზურაბ ძამსაშვილი („ტორპედო"), ლევან გვაზავა („ზიმბრუ", მოლდოვა), დავით დიღმელაშვილი („ვიტ ჯორჯია"), დავით სირაძე („ერზერუმი", თურქეთი), ლევან კორღალიძე („სკონტო", ლატვია), მიხეილ ასათიანი („ტორპედო"), ოლეგ გველესიანი („ბათუმი"), გიორგი მანწკავა („დინამო");*

თავდამსხმელები: *კლიმენტი წიტაიშვილი („ირონი", ისრაელი), ლაშა ჯაკობია („აალსტი", ბელგია), გია იმედაძე („ტორპედო"), ლევან მელქაძე („ვიტ ჯორჯია").*

**დავით თავართქილაძე**

# ათამაშებს გაჯიევი ქართველებს ლეკურს?

დუბაიში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა მახაჩყალურმა „ანჟიმ" მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა. დაღესტნელთა მეტოქე ჩეხეთის „სპარტა" იყო.

გეხსომებათ, „ანჟიში" უკვე ერთი კვირაა, ქართველები — დავით ზაზაშვილი და დავით ჩოხელი ისინჯებიან. ისინი თერთმეტ ახალწვეულთან ერთად „ანჟის" მთავარი მწვრთნელის, გაჯი გაჯიევის განკარგულებაში იმყოფებიან და მის საბოლოო პასუხს ელიან.

ორი ქართველიდან „სპარტასთან" მატჩში მხოლოდ ზაზაშვილმა ითამაშა. 18 წლის ფეხბურთელი გაჯიევმა მეორე ნახევარში შეუშვა მინდორზე, როცა ჩეხებს უკვე სამი უპასუხო გოლი ჰქონდათ გატანილი დაღესტნელებისთვის.

ზაზაშვილს ურიგოდ არ უთამაშია. ერთ-ერთ ეპიზოდში მისი შეტევაში ენერგიული ჩართვა ლიხობაბენკოს საპასუხო გოლით დასრულდა, მატჩიც საბოლოოდ 3:1 დამთავრდა „სპარტას" სასარგებლოდ. ჩვენებურმა ნამატჩევს ეს თქვა.

„მე და ჩოხელს გერმანელი აგენტი გვყავს, სწორედ მან დაგვაკავშირა „ანჟისთან". ჩემთვის ეს პირველი დიდი გამოცდაა. ვიცი, რომ ძნელია, გაჯიევის გუნდში ფეხის მოკიდება, მაგრამ ცდას არ დავაკლებ. ჯერჯერობით მწვრთნელებს სასაყვედურო არაფერი აქვთ და მოხარული ვიქნები, თუ ჩოხელთან ერთად „ანჟიში" ჩავირიცხები".

გაჯი გაჯიევი კი ახალწვეულთა ბ„დის გარკვევას ჯერჯერობით არ ჩქარობს. ყოველივე მახაჩყალაში დაბრუნების შემდეგ გადაწყდება, საბოლოო პასუხს ხუთ დღეში ვიტყვიო, დაჰპირდა „ანჟის" მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებს.

**პაატა ქვანტალიანი**

# არ იყო დილა მშვიდობისა

გუშინ „ლოკომოტივის" დიღმის საწვრთნელ ბაზას გორის „დილა" ესტუმრა და მასპინძელს ამხანაგურად გაეჯიბრა.

სტუმარი სხვაც არაერთი იყო რკინიგზელთა ბაზაზე. ზოგი მომავალ მეტოქეებს ზვერავდა, ზოგიც ახალ მოთამაშეებს დაეძებდა, იქნებ ამათ ვინმე დაიწუნონ და ჩვენ გამოგვადგესო.

თამაში ისეთი იყო, საქართველოში მოსამზადებელ პერიოდს რომ ეკადრება. ვეტერანებმა თავი დაზოგეს, ახალწვეულებმა პირიქით, ზედმეტი მონდომებით ირბინეს, აქაოდა, უფროსებს თავს მოვაწონებთო.

მატჩის სანახაობრივ მხარეზე ბევრსაც ნუ გვკითხავთ, ისე აქამდე უნახავიც რა უნდა გვენახა. რკინიგზელებმა თამაში თითქმის ძირითადი შემადგენლობით დაიწყეს, მხოლოდ ახალწვეულ კაიდარაშვილს არ უთამაშია. ალბათ გორელი გორელებს არ დაუპირისპირდა.

„დილას" კოტორაშვილი აკლდა. ვალერი იქვე მოედნის კიდესთან იდგა და იქიდან ქომაგობდა თანაგუნდელებს. ტრავმირებული გიორგი რევაზიშვილის უთამაშებლობაც არავის გაჰკვირვებია.

თავიდან „ლოკომოტივი" დაწინაურდა. გოგიჩაიშვილმა გაუტანა ტრავმისაგან საბოლოოდ ჯერაც განუკურნებელ სოლოლაშვილს. მერე თავად კახა შეიქნა საექიმო. სტუმართა ერთ-ერთმა მცველმა მაცხენა კოჭში ისეთი უთავაზა, რომ მოედნიდან გასაყვანი გახდა. უწამლეს გოგიჩაიშვილს, თუმც თამაშის შემდეგ დასისხლიანებულ ნახვევზეც ეტყობოდა, ნახევარმცველი რა დღეშიც იყო. გუნდის ექიმის დიაგნოზი კი ასეთი გახლდათ — ერთი კვირა იძულებითი დასვენება და მკურნალობა.

გორელებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს, მიხეილ თაყაძემ „ვიტ ჯორჯიადან" მშობლიურ „დილაში" დაბრუნება გოლით აღნიშნა.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა" დაასვენა ანჩაბაძე, კვარაცხელია და ძირითადის სხვა მოთამაშეები. ცვლილებები „დილამაც" განახორციელა, თუმც მინდორს უფრო გამოცდილი მოთამაშეებით შემორჩა და გამარჯვებისაც გაიტანა. ლომიძემ ბოლომდე იბრძოლა მასპინძელთა საჯარიმოში და ასლანაძემაც ვერაფრით უშველა თავისიანებს.

იქვე, გვერდით, წიდისსაფარიან მოედანზე რკინიგზელთა და გორელთა საფეხბურთო სკოლების მოზარდები პაექრობდნენ. ბრძოლა და დაძაბულობა, ემოციების მოზღვავება იქ იყო თუ იყო. თბილისელებმა იმარჯვეს, თუმც სტუმრები რევანშის აღებას დაჰპირდნენ და ვნახოთ, როგორ მორიგდებიან.

**დათო დანელია**



კახა გოგიჩაიშვილს გორელებთან საკონტროლო ერთკვირიან მკურნალობად დაუჯდა

# ქალი ფარია!

## უკრაინასთან აზერბაიჯანელები გვიმსაჯებენ



ეს ქალი ქართველი არ არის, ფრანგია და მსაჯობს

**გაცხადდა** იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც 14 თებერვალს საქართველოსა და უკრაინის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებს მოემსახურებიან. პირველი გუნდების შეხვედრას აზერბაიჯანელები — არბიტრი ხაგან მამედოვი, თანამსაჯების რამიზ ასადოვი და ელდარ ნიკიბეკოვი განსჯიან, სათადარიგო არბიტრი კი ჩვენებურია, სერგო კვარაცხელია. უმცროსების მატჩს „შევარდენზე" მერაბ მალალურაძე იმსაჯებს. მას მამუკა ელიკაშვილი და ავთანდილ სამხარაძე დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი ავთანდილ შალამბერიძე იქნება.

ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის მსაჯებიც გამალებით ემზადებიან. 21 თებერვლიდან მათი ტესტირება დაიწყება ხელახალი ლიცენზირებისთვის. მსაჯები ჯერ ფიზმომზადებაში ჩააბარებენ გამოცდას, 22 თებერვალს თეორიაში, მომდევნო დღეს კი ლიცენზიები დაურიგდებათ. 26 თებერვალს საგაზაფხულო ეტაპის პირველი ტურის მსაჯთა წილისყრა მოეწყობა.

სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელი ანატოლი მილჩენკო შეშფოთებულია და მიზეზიც აქვს. რა ხანია, ფიფამ ვიდეო და სხვა მასალები გამოგზავნა, რითაც ჩვენი კლუბების წარმომადგენლებს თამაშის ახალ წესებში უკეთ გარკვევის მიზნით მეცადინეობა უნდა ჩაუტარდეთ, მაგრამ მიუხედავად მილჩენკოს კომიტეტის მცდელობისა, სწავლა-განათლებას ჯერ არავინ ჩქარობს. „ზოგიერთი კლუბის წარმომადგენელი მიზეზად გუნდის უცხოურ შეკრებაზე ყოფნას ასახელებს, ზოგიც ფეხს ითრევს, არადა, სწავლა რა სათაკილოა. ხშირად ჩვენი მსაჯებისადმი წაყენებული პრეტენზიები თამაშის წესების არასაკმარისი ცოდნითაა გამოწვეული" — გვითხრა ქართველი მსაჯების თავკაცმა.

სფფ-ის ადრინდელი ხელმძღვანელობის დროს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში ექვსი მანდილოსანი მსაჯი ირიცხებოდა. სად არის ახლა ეს ექვსეული? „არ ვიცი რატომ, მაგრამ ქალი არბიტრები ახლა აღარ გვყვანან. როცა მე ჩავუდექი კომიტეტს სათავეში, იმ ექვსეულიდან ჩვენთვის არავის მოუმართავს. თუ რომელიმე მათგანს ამის სურვილი გაუჩნდება, მივიღებთ, მეცადინეობებსაც ჩავუტარებთ. არადა, ქალმა მსაჯებმა საკმაოდ მყარად მოიკიდეს ფეხი თანამედროვე ფეხბურთში. ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც, რუსეთსა და თურქეთში ასეთი პრაქტიკა უკვე დანერგილია და ამართლებს კიდეც. ეს ჩვენც გამოგვადგება — ქალების მიმართ ალბათ უხამსი ფორმებით უკმაყოფილებას აღარ გამოხატავენ" — განაცხადა ანატოლი მილჩენკომ. დიალოგში მილჩენკოს მოადგილე ოთარ გუნთაძეც ჩაგვერთო: „იმ ექვსეულიდან ზოგი დაქორწინდა, ზოგი უცხოეთში წავიდა საცხოვრებლად, ზოგიც ფეხმძიმედაა..."



გალინა [illegible] ფოტო

ანატოლი მილჩენკო

**დავით თავართქილაძე**

# არველაძე შვეიცარიაში მიიწვიეს

## დახმარებას უეფაც ითხოვს

**ხელახლა** სარეგისტრაციოდ და ვალების გასასტუმრებლად თბილისის „დინამოს" დიდი დრო აღარ დარჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილი ამბავია — დიდ გაწამაწიაში მყოფი რევაზ არველაძე აქაურობას ორი დღით გაეცლება.

ადრეც გაუწყეთ, უეფაში სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო კომიტეტების რიცხვი 27-დან 11-მდე შემცირდა. მაგრამ კომიტეტების გარდა არსებობს ეგრეთ წოდებული დამხმარე ჯგუფები. უეფას კლუბთა საშეჯიბრო კომიტეტს ამჯერად სწორედ ასეთი ჯგუფი ამოუდგა მხარში — 6-7 თებერვალს უეფას შტაბ-ბინაში, ნიონში დამხმარე ჯგუფის შეხვედრა გაიმართება, რომელზეც 30 ქვეყნის 63 საუკეთესო კლუბის წარმომადგენელია მიწვეული. უეფამ თავის დანარჩენ 21 წევრს ასეთი პატივი არ დასდო იმის გამო, რომ მათ ევროპულ საკლუბო დონეზე წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ. ყოფილი საბჭოეთიდან კი 4 ქვეყნის 7 კლუბი გამოარჩია: ბელარუსიდან „დინამო"; რუსეთიდან „სპარტაკი", „ლოკომოტივი" და „დინამო"; უკრაინიდან „დინამო" და „შახტარი". საქართველოდან კი, ცხადია, თბილისის „დინამო". ამ ღონისძიებაზე ძირითადად ორ თემაზე გაამახვილებენ ყურადღებას — ჩემპიონთა ლიგის ფორმატის საკამათო საკითხებზე და თანამედროვე სატრანსფერო სისტემაზე.

**დავით თავართქილაძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2 |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?, რუსეთი) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანწკავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მალლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მალლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზაზა კვეკვესკირი (მუქურა), ბესიკ შენგელია (ბათუმი), ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (სიონი), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია (მერანი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქურაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), სიდამონიძე (ბათუმი), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (გურია), გუგუნავა (თსუ) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, ბათუმი 0:1 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**




„მილანის“ ქართველი ახალწვეული: კახა კალაძე

# ქართველი მილანში: მეათე ც(დ)აზე

პირველად იყო „აინტრახტი“!

კახა ცხადაძე გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ევროპულ გრანდთან ერთად ბუნდესლიგის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მერე კი ცხადაძე მძიმედ დაშავდა, გაკოტრების პირას მდგარი ფრანკფურტული კლუბი კი მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითდა.

მერე იყო პოსტსაბჭოეთის უკანასკნელი ჯანმრთელი ნასხლეტი კიევის „დინამო“ და მის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის პირველი ქართველი მიხეილ ჯიშკარიანი. ისიც ტრავმებით ნატანჯი და გასხვისებული.

კიევი დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ შეეყარა ქართველს. ჯერ საქართველოს ნაკრების ყმაწვილ მცველ კახა კალაძეს და მერე რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ გიორგი დემეტრაძეს. ახლახან ორივეს სარფიანად შეელივნენ უკრაინელები: დემეტრაძე ესპანურ „რეალ სოსიედადშია“, კალაძე იტალიურ „მილანში“.

„მილანის“ ჯერიც დადგა! მაგრამ მანამდე სხვებიც იყვნენ: „მანჩესტერ სიტი“, „მეხელენი“, „აიაქსი“, „ფეიენოორდი“, „ნიუკასლი“, პსვ, „სტანდარდი“ და „ჩელსი“ იმ კლუბების ქრონოლოგიური ჩამონათვალია, რომლებსაც, სულ მცირე, რომელიმე ევროთასი მოუგიათ და თავის რიგებში ქართველი ფეხბურთელი უთამაშებიათ.

ასეთი პატივი სულ 13 მოთამაშეს ერგო. კიდევ ექვსს კი ევროპის ქვეყნების სხვა სახელოვან (იხილეთ ცხრილი) კლუბებშიც უთამაშიათ.

„აინტრახტიდან“ „მილანამდე“ ცხრა დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ქართველებმა იტალიას მეათე ცდაზე უწიეს.

| კლუბი ქვეყანა | სახელი გვარი |
|---|---|
| სტანდარდი ბელგია | ლაშა ჯაკობია |
| კიოლნი გერმანია | არჩილ არველაძე |
| ფრაიბურგი გერმანია | ალექსანდრე იაშვილი |
| | ლევან კობიაშვილი |
| | ლევან ცქიტიშვილი |
| სოსიედადი ესპანეთი | გიორგი დემეტრაძე |
| დერბი ინგლისი | გიორგი ქინქლაძე |
| ვულვზი ინგლისი | თემურ ქეცბაია |
| დინამო მ, რუსეთი | კახა ცხადაძე |
| სპარტაკი მ, რუსეთი | კახა ცხადაძე |
| | ოთარ ხიზანეიშვილი |
| აეკ საბერძნეთი | თემურ ქეცბაია |
| გრასჰოპერი შვეიცარია | მიხეილ ყაველაშვილი |
| | გიორგი ნემსაძე |
| ციურიხი შვეიცარია | გოჩა ჯამარაული |
| | მიხეილ ყაველაშვილი |

მილანი
იტალია

ქართველი:
კახა კალაძე

ქვეყნის ჩემპიონი (16):
1901, 06, 07,
51, 55, 57, 59,
62, 68, 79, 88,
92, 93, 94, 96, 99
ქვეყნის თასი (4):
1967, 72, 73, 77
ჩემპიონთა თასი (5):
1963, 69, 89, 90, 94
თასების თასი (2):
1968, 73
ევროპის სუპერთასი (3):
1989, 90, 95
საკონტინენტთაშორისო თასი (3):
1969, 89, 90

პსვ
ეინდჰოვენი
ჰოლანდია

ქართველი: გიორგი გახოკიძე

ქვეყნის ჩემპიონი (14):
1929, 35, 51, 63,
75, 76, 78, 86, 87,
88, 89, 91, 92, 97
ქვეყნის თასი (7):
1950, 74, 76, 88, 89, 90, 96
ჩემპიონთა თასი (1):
1988
უეფას თასი (1):
1978

აინტრახტი
გერმანია

ქართველი:
კახა ცხადაძე

ქვეყნის ჩემპიონი (1):
1959
ქვეყნის თასი (4):
1974, 75, 81, 88
უეფას თასი (1):
1980



გიორგი ქინქლაძე

მანჩესტერ სიტი
ინგლისი

ქართველები:
გიორგი ქინქლაძე,
მურთაზ შელია,
კახა ცხადაძე,
მიხეილ ყაველაშვილი

ქვეყნის ჩემპიონი (2):
1937, 68
ქვეყნის თასი (4):
1904, 34, 56, 69
თასების თასი (1):
1970



შოთა არველაძე

ფეიენოორდი
ჰოლანდია

ქართველი:
გიორგი დემეტრაძე

ქვეყნის ჩემპიონი (15):
1924, 28, 36,
38, 40, 61, 62,
65, 69, 71, 74, 84,
93, 99, 2000
ქვეყნის თასი (10):
1930, 35, 65,
69, 80, 84, 91,
92, 94, 95
ჩემპიონთა თასი (1):
1970
უეფას თასი (1):
1974
საკონტინენტთაშორისო თასი (2):
1970

ჩელსი
ინგლისი

ქართველი:
რატი ალექსიძე

ქვეყნის ჩემპიონი (1):
1955
ქვეყნის თასი (2):
1970, 97
ლიგის თასი (2):
1965, 98
თასების თასი (2):
1971, 98

მეხელენი
ბელგია

ქართველი:
რევაზ არველაძე

ქვეყნის ჩემპიონი (4):
1943, 46,
48, 89
ქვეყნის თასი (1):
1987
თასების თასი (1):
1988
ევროპის სუპერთასი (1):
1989

ნიუკასლი
ინგლისი

ქართველი:
თემურ ქეცბაია

ქვეყნის ჩემპიონი (4):
1905, 07, 09, 27
ქვეყნის თასი (6):
1910, 24, 32,
51, 52, 55
ბაზრობათა თასი (1):
1969

აიაქსი
ჰოლანდია

ქართველები:
შოთა არველაძე,
გიორგი ქინქლაძე

ქვეყნის ჩემპიონი (27):
1918, 19, 31, 32, 34, 37,
39, 47, 57, 60, 66, 67, 68,
70, 47, 57, 60, 66, 67, 68,
70, 72, 73, 77, 79, 80, 82,
83, 85, 90, 94, 95, 96, 98
ქვეყნის თასი (14):
1917, 43, 61, 67, 70, 71, 72,
79, 83, 86, 87, 93, 98, 99
ჩემპიონთა თასი (4):
1971, 72, 73, 95
უეფას თასი (1):
1992
თასების თასი (1):
1987
ევროპის სუპერთასი (3):
1972, 73, 95
საკონტინენტთაშორისო თასი (2):
1972, 95



კახა კალაძე

დინამო კიევი
უკრაინა

ქართველები:
მიხეილ ჯიშკარიანი, კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე

ქვეყნის ჩემპიონი (სრრკ, 13):
1961, 66, 67, 68, 71, 74,
75, 77, 80, 81, 85, 86; 90
ქვეყნის თასი (სრრკ, 9):
1954, 64, 66, 74,
78, 82, 85, 87, 90
ქვეყნის ჩემპიონი (8):
1993, 94, 95, 96,
97, 98, 99, 2000
ქვეყნის თასი (4):
1993, 96, 98, 99
თასების თასი (2):
1975, 86
ევროპის სუპერთასი (1):
1975



თემურ ქეცბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის შემდეგი?

## ფრანგებმა კონტრერასი და მონაკო დასაჯეს

### საფრანგეთი

**საფრანგეთის** ჩემპიონი „მონაკო“ უმძიმეს მდგომარეობაშია. ბოლო წლებში ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს მიმდინარე სეზონში საქმეები აერია. მონაკოელებმა ვერც ჩემპიონთა ლიგაში ივარგეს რამეს და ახლა შინაურ სარბიელზეც მაჩანჩალებში გარეულან.

გუნდის მდგომარეობა 30 იანვარს კიდევ უფრო დამძიმდა — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული კომისიის გადაწყვეტილებით, „მონაკოს“ ორი ქულა დააკლეს. მიზეზს ალბათ თავადაც ხვდებით — ბოლო დროს საფრანგეთში აგორებული საპასპორტო სკანდალი.

გეხსომებათ, სკანდალი მას შემდეგ გაღვივდა, რაც „სენტ ეტიენის“ ორ ფეხბურთელს — უკრაინელ მაქსიმ ლევიცკისა და ბრაზილიელ ალექსს ევროკავშირის ყალბი პასპორტები აღმოაჩნდათ. დამნაშავენი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ, „სენტ ეტიენს“ კი ერთბაშად შვიდი ქულა ჩამოაკლეს, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ განაჩენი გააპროტესტა და ახლა ყველაფერს სააპელაციო კომიტეტი 5 თებერვალს გადაწყვეტს. ამ ამბის შემდეგ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია პირველ და მეორე დივიზიონებში მოთამაშე სხვა ლეგიონერების პასპორტებითაც დაინტერესდა და უამრავი შეცდომაც იპოვა. მათ შორის ყალბი დოკუმენტები „მონაკოს“ ჩილელ მცველ პაბლო კონტრერასსაც აღმოუჩინეს და საქმეც გაურჩიეს. ახლა კონტრერასს ოთხ თვეს მოუწევს დასვენება, თუმც შესაძლოა არც მოუწიოს, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა და თავად ფეხბურთელის ადვოკატი იურიდიული კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

ისე, გასაკვირია იურიდიული კომისიის განაჩენი „მონაკოს“ მიმართ. „სენტ ეტიენს“ ანალოგიური დანაშაულისთვის, მოგეხსენებათ, შვიდი ქულა ჩამოაკლეს, ახლა კი მონაკოელები მინუს ორ ქულას დააჯერეს. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ თურმე კლუბის უფროსობას წარმოდგენაც კი არ ჰქონია, რომ კონტრერასის იტალიური პასპორტი ყალბი იყო. საინტერესოა, თუ „მონაკო“ ამ საქმეში უბრალო იყო, ან ის ორი ქულა რატომ ჩამოართვეს.

გუშინწინ კიდევ ერთი ამბავი გავრცელდა უკრაინელ ლევიცკიზე. მოგეხსენებათ, მხილების შემდეგ იგი მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა. რუსებს ცოტა ხნის წინ მისი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეყვანა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან „სენტ ეტიენს“ ლევიცკის გათავისუფლების ფურცლის გაცემა აკრძალული აქვს, რაზეც „სპარტაკი“ აღშფოთებულა, ეგ სადაური წესია, დისკვალიფიკაცია მარტო საფრანგეთის ჩემპიონატზე ვრცელდება, მის გარეთ კი ლევიცკის თამაში შეუძლიაო. ფრანგები ჯერჯერობით პასუხს არ ამბობენ.

**განო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 24 | 11 | 7 | 6 | 29:18 | 40 |
| ნანტი | 24 | 12 | 4 | 8 | 40:32 | 40 |
| ბორდო | 24 | 10 | 9 | 5 | 33:21 | 39 |
| ლიონი | 24 | 9 | 11 | 4 | 32:20 | 38 |
| ბასტია | 24 | 11 | 5 | 8 | 30:24 | 38 |
| სედანი | 24 | 10 | 7 | 7 | 31:24 | 37 |
| გენგამი | 24 | 9 | 8 | 7 | 27:27 | 35 |
| ტრუა | 24 | 9 | 8 | 7 | 30:32 | 35 |
| რენი | 24 | 9 | 6 | 9 | 27:24 | 33 |
| პარი სენ ჟერმენი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 33 |
| ლანსი | 24 | 8 | 8 | 8 | 27:25 | 32 |
| ოსერი | 24 | 8 | 7 | 9 | 26:30 | 31 |
| სენტ ეტიენი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:35 | 30 |
| მარსელი | 24 | 8 | 4 | 12 | 24:31 | 28 |
| მონაკო | 24 | 8 | 5 | 11 | 32:34 | 27 |
| მეცი | 24 | 5 | 10 | 9 | 18:27 | 24 |
| ტულუზი | 24 | 5 | 8 | 11 | 24:32 | 23 |
| სტრასბური | 24 | 4 | 7 | 13 | 20:46 | 18 |

*„მონაკოს“ დაკლებული აქვს 2 ქულა, „სტრასბურს“ და „მეცს“ თითოთითო — ქულა*



ხუან სებასტიან ვერონს 6 თებერვალს დაკითხავენ

# ძველ-ახალი ლაციოდან

**„ლაციოს“** პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ ორშაბათს კლუბის მაღალჩინოსანი მოხელენი დაიბარა, უხმო თავისს ვაჟს მასიმოს, ვისაც ახლა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია, ცხადია, იქ იყო სპორტული დირექტორი ნელო ჯოვერნატოც. ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ კლუბი სატრანსფერო სეზონის დახურვამდე აღარავის იყიდის. მწვრთნელის განკარგულებაში მრავლად არიან მაღალი დონის ფეხბურთელები და ამით უნდა შემოიფარგლონ. ამავე დროს დადებითად შეფასდა გუნდის ბოლოდროინდელი შედეგები, განსაკუთრებული ხოტბა შეასხეს ახალდანიშნულ მწვრთნელ დინო ძოფს, რომლის ხელმძღვანელობითაც „ლაციომ“ სამი თამაშიდან სამივე მოიგო.

„ძალიან ბედნიერი ვარ, ძოფი ბრწყინვალეა. მე მისით ვამაყობ. მართალია, დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მისი მუშაობის სტილი ძალიან მაიმედებს“ — განაცხადა სერჯო კრანიოტიმ.

რაკი კლუბი ახალ მოთამაშეებს ახლო მომავალში არ იყიდის, გამოდის, რომ „ლაციოს“ ბოლო შენაძენი 20 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ლუკას მარტინ კასტრომანია, რომელმაც გუშინ კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააფორმა და უკვე ვარჯიშიც დაიწყო. მას 35-ნომრიანი მაისურა გადასცეს. „მოხარული ვარ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის მოთამაშე გავხდი“ — განაცხადა რომაელთა ახალწვეულმა, რომელსაც ჯერჯერობით დედაქალაქში ბინა არ შეურჩევია და დროებით თანამემამულე დიეგო პაბლო სიმეონესთან იცხოვრებს. მალე მას იტალიაში ოჯახი ეწვევა და სახლსაც იყიდიან. „ოდნავ ვნერვიულობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ლაციოში“ ფეხს მალე მოვიკიდებ. ახალ გარემოსთან შეგუებაში ისიც დამეხმარება, რომ აქ ჩემი ოთხი თანამემამულე თამაშობს. ამპლუით მარჯვენა ნახევარმცველი ვარ, შეტევებშიც შემიძლია ჩავერთო და დაცვასაც ვეხმარები“ — თქვა კასტრომანმა.

ერთობ გაიხარა ლუკასის მამამ, კარლოს ედუარდომ. თურმე რაც მისმა ვაჟმა დიდი ფეხბურთის თამაში გადაწყვიტა, სულ იმაზე ოცნებობდა, იგი იტალიის ერთ-ერთ სუპერკლუბში გადასულიყო. და აი, ნატვრაც აუხდა. კარლოს ედუარდოს განცხადებით, იგი არგენტინაში იცხოვრებს, მაგრამ შვილს ხშირად ეწვევა იტალიაში.

ახლა „ლაციოს“ კიდევ ერთ არგენტინელ ლეგიონერზე, ხუან სებასტიან ვერონზე ვთქვათ. მის ირგვლივ რა აურზაური შეიქნა, გეხსომებათ. რომაელმა პროკურორებმა იგი იტალიური პასპორტის უკანონო გზით მიღებაში დაადანაშაულეს. ისინი ვერონის მიერ მოყვანილმა საბაბმა დააეჭვათ — ჩემი წინაპარი წარმოშობით იტალიიდან იყო და შემდეგ ემიგრანტად გადასულა არგენტინაში, სადაც ოჯახიც შექმნაო. 6 თებერვალს ვერონი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს და თავისი იტალიური წარმოშობა დაადასტუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტაციათა გაყალბებაში ამხელენ და სერიოზული თავსატეხიც ელის. ვერონის დაკითხვას „ლაციოს“ ოფიციალური წარმომადგენელიც დაესწრება, რამეთუ პროკურატურამ მათკენაც გაიშვირა ხელი, არგენტინელს გაიტალიელებაში კლუბიც ეხმარებოდაო. მოკლედ, 6 თებერვალს დიდი ამბები იქნება. კიდევ ერთ სამხრეთამერიკელზე, ოღონდ ჩილელზე, მარსელო სალასზეც ვთქვათ, რომელმაც „ფიორენტინასთან“ ბოლო ტურში მოგების დროს ოთხიდან ერთი გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი მიითვალა. მავანთ უთქვამთ, სალასმა თავის რომაულ კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარაო.

„დაზუსტებით ვერ ვიტყვი, რომ ეს ასეა, მაგრამ კომპლიმენტად ჩავთვლი“ — განაცხადა ჩილელმა და დაამატა — „ძოფის ხელში მეც და მთელ გუნდსაც გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია. ყველანი წყნარად ვართ და ჩვენი საქმე ვიცით. ჩინებულად თამაშობს და კარგ პარტნიორობას მიწევს ერნან კრესპო. მე ყოველმხრივ შევეცდები, იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირობაში დავეხმარო, თუმც გუნდის საერთო წარმატებაა მნიშვნელოვანი“.

შეგახსენებთ, რომ ამას ის ფეხბურთელი ამბობს, ვისაც „ლაციო“ ზაფხულში გაყიდვას უპირებდა. რომაულ კლუბს მსურველიც გამოეხმაურა — „პარმა“. მასიმო კრანიოტი და ნელო ჯოვერნატო მოლაპარაკებებსაც აწარმოებდნენ პარმელებთან, მაგრამ „სტადიო ოლიმპიკოს“ დატოვება თურმე თავად სალასმა არ ისურვა. „ზაფხულში ხელმძღვანელები მოვიდნენ და კლუბიდან ჩემ წასვლაზე აზრი მკითხეს, ის დღე ერთ-ერთი ურთულესი იყო ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, მათთვისაც. მე წასვლა არ მსურდა და, როგორც გაირკვა, არც მათ უნდოდათ ჩემი გაშვება. ახლა ეს სიტუაცია სასაცილოცაა, მაგრამ მაშინ ძნელი გადასაწყვეტი იყო. მოხარული ვარ, რომ დავრჩი. ახლა ვთამაშობ და გოლებიც გამაქვს“ — ესეც ჩილელის სიტყვებია.

**ნიკა ზუბლაძე**

# კოლიმორი ოვიედოში: როდემდე?

**სტენ კოლიმორმა** თერთმეტწლიან საფეხბურთო კარიერაში ათი ინგლისური კლუბი გამოიცვალა და უცხოეთში გადაბარგდა.

ოცი წლისა ის ასი ათასი გირვანქა ღირდა, 21 წლისა — 750 ათასი, 22 წლისა — ორი მილიონი, ხოლო 24 წლისა — 8, 5 მილიონი. გავიდა ხუთი წელიც და მარტინ ონილმა „ლესტერის“ ხელმძღვანელობას 250 ათასი ძლივს დასტყუა ერთ დროს უძვირესი ფეხბურთელის შესაძენად.

დიდ ფეხბურთელთა უმრავლესობა უცბად აღზევდება, საფეხბურთო ოლიმპზე კარგა ხანს რჩება და ნელ-ნელა ფერმკრთალდება. კოლიმორის დაცემა უეცარი და მტკივნეული აღმოჩნდა. ალკოჰოლი, ნარკოტიკები, აყალმაყალი, ბოლოს დეპრესია — ამან ფეხბურთელი სკანდალურ ქრონიკებსა და სპეციალურ კლინიკებში მოახვედრა. ადრე გუნდები მასზე ნადირობდნენ, ჯონ გრეგორიმ კი ის გააგდო.

ახლა „ოვიედო“, ისე რა ესპანური კლუბი, რომელსაც პირველობის ამბიცია არასდროს ჰქონია და არის თავისთვის წყნარად, ოღონდაც პრიმერადივიზიონიდან არ გავარდეს.

კოლიმორი გუშინ მადრიდში ჩავიდა, საიდანაც ოვიედოში გაემგზავრება, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ეგებ მომდევნო ტურში უკვე ითამაშოს. „ოვიედოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ფელიქს ორტეგამ თქვა, ყველა საკითხი შეთანხმებულია და მხოლოდ საბოლოო ხელმოწერა დაგვრჩაო.

თავად ჩამქრალი ვარსკვლავი კი ამბობს: „ოვეიდო“ ძალიან კარგი გუნდია, ახალი სტადიონით და ახალგაზრდა ფეხბურთელებით. გარწმუნებთ, რომ ძალიან ბევრ გოლს გავიტან“.

სტენ კოლიმორი ყველა კლუბში ამ განწყობით მიდიოდა, მაგრამ ბოლოს რაც გამოდიოდა, უკვე ვთქვით. ვინ გაბედავს მტკიცებას, რომ ამჯერადაც არ აურევს? წყალწაღებული „ბრედფორდის“ მწვრთნელმა ჯიმ ჯეფერისმაც კი უარი თქვა მასზე და ზუსტად ერთი თვეა, მინდორზე არ გაუყვანია. ეგებ რადომირ ანტიჩმა იცის კოლიმორის წამალი? „ოვიედოს“ იუგოსლაველი მწვრთნელი მადრიდის „ატლეტიკოში“ მუშაობისას წლობით უძლებდა კლუბის გიჟმაჟ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილს, ჰოდა, კოლიმორს როგორ ვერ გაუძლებს? თუმცა ვინ იცის... ისე კოლიმორის კონტრაქტი წელიწადნახევრიანია.

**გიორგი დარჯანია**




სტენ კოლიმორი

*დაიბადა 1971 წლის 22 იანვარს ქენოკში, ინგლისი*

*1989: ვარჯიში დაიწყო „ვულვერჰემპტონში“, საიდანაც ჩაირიცხა მოყვარულ „სენტფორდ რეინჯერსში“.*

*1991: გადავიდა „კრისტალ პალასში“. კლუბმა მასში ასი ათასი გირვანქა გადაიხადა.*

*1992: „საუთენდ იუნაიტედმა“ თავისთვის სარეკორდო თანხად — 750 ათას გირვანქად იყიდა. ოცდაათ მატჩში 15 გოლი გაიტანა.*

*1993: „ნოტინგემ ფორესტმა“ იგი ორ მილიონ გირვანქად შეიძინა.*

*1995: პრემიერლიგაში გაიტანა 22 გოლი. „ლივერპულმა“ მასში 8,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, რითაც ის მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი გახდა*

*1997: მწვრთნელ როი ევანსთან უთანხმოების გამო შვიდ მილიონ გირვანქად „ასტონ ვილაში“ გაიყიდა.*

*1998: ზაფხულში პარიზის ერთ-ერთ ბარში მეგობარ გოგონას სცემა. „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ აითვალწუნა და აღარ ათამაშებდა.*

*1999: დეპრესიით შეპყრობილი მკურნალობდა ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში. სამი თვით გაანათხოვრეს „ფულემში“. „ასტონ ვილაში“ დაბრუნების შემდეგ პირველივე ვარჯიში გააცდინა, რისთვისაც მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ გუნდიდან გააგდო.*

*2000: „ლესტერმა“ მასში 250 ათასი გირვანქა გადაიხადა. „დერბისთან“ შეხვედრაში ფეხი მოიტეხა. უფასოდ გადავიდა „ბრედფორდში“.*

*2001: თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა ესპანურ „ოვიედოში“.*

# თურქეთი: შიგნით ატლასი

**ამას წინათ** გაუწყეთ, რომ თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია იქაურ ტელეკომპანიებთან მატჩების ტრანსლირებაზე ვერ შეთანხმდა, რის გამოც წინა კვირაში ჩემპიონატის ტური გადაიდო. ფედერაციამ ამ თვეში გააუქმა კონტრაქტი ტელეკომპანია ტელეონთან, რომელიც პირველობის მატჩებს აჩვენებდა, საფეხბურთო მოხელენი ბრალს სდებდნენ მედიის წარმომადგენლებს, რომ მათ რაღაც პირობები ვერ შეასრულეს. ტელეკომპანიამ საქმე სასამართლოში შეიტანა, მაგრამ ფედერაციამ ეს არად ჩააგდო და ტენდერი გამოაცხადა.

ტენდერში კომპანია „ატლასმა“ გაიმარჯვა და მასთან ფედერაციამ 465 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა — ამის შესახებ მასმედიას ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ათა აქშუმ ამცნო და იქვე დასძინა, სხვა სამი ტელეკომპანიის წინადადება უარვყავითო.

ამრიგად, ჩემპიონატის სამივე დივიზიონის მატჩები, რომელიც 26 იანვარს უნდა დაწყებულიყო, 2 თებერვლიდან განახლდება.

# დაიფიცეთ ბიბლიაზე!
## სატრანსფერო ქაოსთან ბრძოლის ახალი ხერხი

**ინგლისის** პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ბერლინში ჩასულა და გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე უმსჯელია. პოლიტიკური და ეკონომიკური ამბები ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, მათი შეხვედრის შესახებ კი იმიტომ ვყვებით, რომ ორი ქვეყნის ლიდერებმა ფეხბურთზეც, უფრო სწორად, სატრანსფერო სისტემის შეცვლის პრობლემებზეც ისაუბრეს.



მიშელ პლატინი და მიშელ ზენ რუფინენი ექსპოზე

შეხვედრის დასრულებისას შრიოდერმა და ბლერმა ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც ვკითხულობთ: „დიდი გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ საფეხბურთო კავშირები და ფეხბურთელთა პროფკავშირები სატრანსფერო სისტემის მომავალზე ვერ თანხმდებიან. ამასთანავე ჩვენ მივესალმებით ფიფას და უეფას სურვილს, გამონახონ საერთო ენა. მათი საერთო პოზიციის გარეშე მსოფლიო ფეხბურთს კრახი ელის. იმედი გვაქვს, ევროკომისიასთან მოლაპარაკება, რომელიც თებერვალში უნდა განახლდეს, ყველა დაინტერესებული მხარესთვის მისაღები გადაწყვეტილებით დასრულდება“.

შრიოდერმა და ბლერმა ასევე გაიხსენეს მათ მიერ გასული წლის 9 სექტემბერს გამოთქმული მოსაზრება, რომ ახალმა სატრანსფერო სისტემამ ძველის ყველა მისაღები პუნქტი უნდა შეინარჩუნოს და ამასთანავე ევროპულ კანონმდებლობასაც უნდა შეესაბამებოდეს.

მოკლედ, ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებს რაიმე ახალი და კონკრეტული არ უთქვამთ, პრინციპში ეს არცაა მათი მოვალეობა. აბა, რისთვისაა ფიფა და უეფა.

რაც შეეხება ფიფას, მისმა გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ რუფინენმა თქვა, ჩვენსა და ფიფას შორის მოლაპარაკებები ისეთი ტემპით მიდის, 3-4 კვირაში ევროკავშირს საერთო ძალებით შევერკინებით და ჩვენს სიმართლეს დავუმტკიცებთო. აღვნიშნოთ, რომ ფიფას გენერალური მდივანი კანში იმყოფება საფეხბურთო ექსპოზე.

აქვე ის ხუთი ძირითადი პოსტულატიც გავიხსენოთ, რომელიც ფიფამ ევროკავშირს გასულ შემოდგომაზე წარუდგინა და რომელიც ბოლოდროინდელი მოლაპარაკებების შემდეგ უეფასთვისაც მისაღები გახდა:

1. 23 წელზე უფროსი ფეხბურთელები კლუბიდან კლუბში უფასოდ გადავლენ.

2. საყოველთაო აკრძალვა 18-წლამდელთა გაყიდვაზე. ამ აკრძალვით აფრიკიდან და სამხრეთ ამერიკიდან ევროპაში ყმაწვილ მოთამაშეთა ქაოსური მოდინება უნდა შეწყდეს.

3. 23-წლამდელთა გადასვლისას მის აღზრდაში წვლილის შემტანმა ყველა კლუბმა კომპენსაცია უნდა მიიღოს.

4. სატრანსფერო დავებს ახალშექმნილი დამოუკიდებელი არბიტრაჟი მოაწესრიგებს. სავარაუდოდ, არბიტრაჟი წელიწადში 550 საქმის გარჩევას მოახერხებს.

5. წელიწადში ორი მკაცრად განსაზღვრული სატრანსფერო ფანჯრის დაწესება. ამასთანავე ფეხბურთელებს კლუბის გამოცვლა მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეეძლებათ.

თუ ამ პრინციპებს შემოდგომაზე ევროკავშირისთვის წარდგენილს შევუდარებთ, მცირეოდენ განსხვავებებსაც აღმოვაჩენთ. ერთი ისაა, რომ არბიტრაჟის წინ გაჩნდა სიტყვა „დამოუკიდებელი“. აქამდე ისე იყო, რომ ფიფა თავად აპირებდა არბიტრაჟის შექმნას, რაც ფაქტობრივად მისი სადისციპლინო კომიტეტისთვის სახელის შეცვლა იქნებოდა. ეს კი სატრანსფერო დავების გადაწყვეტას კვლავ ფიფას გამგებლობაში დატოვებდა, რისი წინააღმდეგიცაა ევროკავშირი. მეორე განსხვავება ის გახლავთ, რომ საერთოდ ამოღებულია პუნქტი, რომელიც ფეხბურთელისგან კლუბთან დადებული კონტრაქტის პატივისცემას მოითხოვდა. გასაგებიცაა, ეს საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირებაა, რადგან კონტრაქტის პატივისცემა უფრო მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. თუმცა მორალზე ქვემოთ კიდევ ვიტყვით, ჯერ კი სხვა საკითხსაც შევეხოთ.

ამ შეთანხმებული პუნქტების გარდა ღიად რჩება კონტრაქტის მინიმალური ვადა. კლუბთა უმრავლესობა სამწლიან კონტრაქტებს მოითხოვს, რათა ფეხბურთელის უფრო ადრე წასვლის შემთხვევაში კომპენსაცია მიიღოს. თუმცა საეჭვოა, ევროკავშირი ამას დათანხმდეს. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილმა პუნქტებმა ევრორევიზიის შემდეგ შესაძლოა, ცვლილებები განიცადოს.

ამასობაში ფრიად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა „არსენალისა“ და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარემ, დევიდ დეინმა. ის საკითხის მორალურ მხარეს ეხება. ფეხბურთელთა აგენტები კეთილსინდისიერად რომ მუშაობდნენ, სატრანსფერო სისტემის რეორგანიზაცია ასე აქტუალურ თემად არ იქცეოდაო, ამტკიცებს დეინი და ნიკოლა ანელკას მაგალითი მოჰყავს, ანელკა ახალი გადმოსული იყო „არსენალში“ და მისი ძმა (დიდიე ანელკა ნიკოლას აგენტია) უკვე ახალი კლუბის ძებნით იყო დაკავებული. აბა, ეს რას ჰგავს, იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელმა გუნდში თავისი საქმე აკეთოს, მხოლოდ ახალ სარფიან კონტრაქტზე ფიქრობსო, ჩივის დეინი.

მოკლედ, ყველაფერში დამნაშავე აგენტები ყოფილან, რომლებიც ფეხბურთელებს გონებას უბნელებენ და ამასთან ბრძოლაა საჭირო. დეინის წინადადება ასეთია: კლუბმა და აგენტმა შეთანხმება უნდა დადონ, რომ კონტრაქტის გასვლამდე აგენტი კლიენტისთვის ახალ კლუბს არ მოძებნის და თუ საჭირო გახდა, ხელმოწერას ბიბლიაზე დაფიცებითაც განამტკიცებს.

ჩვენი კი შევნიშნოთ, რომ ეს ფრიად საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებაა და თუ იგი განხორციელდა სატრანსფერო პრობლემა შედარებით მარტივად მოწესრიგდება, ოღონდ რამდენად განხორციელდება საკითხავიც ეგაა.

**გიორგი დარჯანია**


გერჰარდ შრიოდერს ფეხბურთზეც შესტკივა გული

## ინგლისი

XXV ტური

**არსენალი 2:0 ბრედფორდი**

1:0 პარლოუ (17), 2:0 ლორენი (26)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, ვიეირა, ადამსი, პირესი, ლორენი (გრიმანდი 64), პარლოუ, ეშლი კოული, ბერხკამპი (კანუ 79), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, მაკკოლი, უორდი, მოლენაარი (ჰოპკინი 64), ობრაიენი, უინდასი, აზერტონი, ჯეკობსი, მაკკინლი, ჯესი (რ. ბლეიქი 64)

მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი

გაფრთხილება: ადამსი, უორდი, ჰოპკინი

37 318 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 დერბი ქაუნთი**

1:0 სვენსონი (8), 1:1 ბარლი (34), 2:1 პარკერი (61)

ბარლიმ ვერ გაიტანა პენალტი (44, მეკარე)

ჩარლტონი: კიელი (კეიჯი 46), ფიში, რუფუსი, ტოდი, კ. პაუელი, გ. სტიუარტი, პარკერი (ს. ბრაუნი 84), იენსენი, კიშიშევი, სვენსონი (ლისბი 88), ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, კარბონარი, მავენი (ბრაგსტადი 37), დელაპი, ონილი, ბარლი, დ. პაუელი, ჰიგინბოთემი (ერანიო 74), დ. ბარტონი, კრისტი

მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

გაფრთხილება: კიელი, პარკერი, ონილი

20 043 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 24 | 17 | 5 | 2 | 56:16 | 56 |
| არსენალი | 25 | 12 | 8 | 5 | 41:23 | 44 |
| სანდერლენდი | 24 | 12 | 7 | 5 | 31:22 | 43 |
| ლივერპული | 23 | 12 | 4 | 7 | 42:26 | 40 |
| იფსვიჩი | 24 | 12 | 4 | 8 | 36:30 | 40 |
| ნიუკასლი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:32 | 37 |
| ლესტერი | 23 | 10 | 6 | 7 | 24:25 | 36 |
| ჩარლტონი | 25 | 10 | 6 | 9 | 34:38 | 36 |
| ჩელსი | 23 | 9 | 7 | 7 | 43:29 | 34 |
| ლიდსი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:32 | 32 |
| ტოტენჰემი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:34 | 31 |
| ვესტ ჰემი | 23 | 7 | 9 | 7 | 32:27 | 30 |
| ასტონ ვილა | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | 29 |
| საუთჰემპტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:34 | 29 |
| ევერტონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:34 | 26 |
| მიდლსბრო | 24 | 5 | 9 | 10 | 27:30 | 24 |
| დერბი ქაუნთი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:43 | 24 |
| სიტი | 24 | 5 | 6 | 13 | 28:43 | 21 |
| ქოვენთრი | 24 | 5 | 6 | 13 | 23:43 | 21 |
| ბრედფორდი | 24 | 3 | 7 | 14 | 16:43 | 16 |

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

I მატჩები

**ესპანიოლი 1:2 ბარსელონა**

0:1 რივალდო (12), 0:2 ალფონსო (41), 1:2 ტამუდო (57)

ესპანიოლი: არგესო, ტოლედო, როტჩენი, კრისტობალი (ხავიერ 66), ველამაზანი (...77), როხერი, სერხიო, გალკა, სოლდევილა, ტამუდო, მარტინ პოსე (ოსკარი 56)

მწვრთნელი: ფრანსისკო ბაკო ფლორესი

ბარსელონა: რეინა, სერხი, აბელარდო, ოვერმარსი, ლუის ენრიკე (ხერარდი 77), კოკუ, ხავი, პეტი (გვარდიოლა 65), გაბრი, ალფონსო (დანი 77), რივალდო

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: როტჩენი, ტოლედო, პეტი, სოლდევილა, ოსკარი, ველამაზანი, გაბრი

გაძევება: როტჩენი (35)

24 600 მაყურებელი

## საფრანგეთი

ლიგის თასი

მერვედფინალი

**ვალანსი (III) 1:1 დ.დ. (პენ.2:4, 0:0) ნანტი**

0:1 ვაირუა (96), 1:1 ფაბრა (120)

**სენტ ეტიენი 2:0 ოსერი**

1:0 პედრონი (39), 2:0 კ. სანჩესი (45)

## შოტლანდია

XXVI ტური

**კილმარნოკი 1:1 ჰიბერნიანი**

1:0 მეი (68), 1:1 უ. ლაურსენი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 20 | 3 | 1 | 66:21 | 63 |
| ჰიბერნიანი | 26 | 16 | 7 | 3 | 45:16 | 55 |
| რეინჯერსი | 23 | 16 | 3 | 4 | 50:24 | 51 |
| კილმარნოკი | 25 | 12 | 4 | 9 | 31:33 | 40 |
| ჰარტსი | 25 | 9 | 6 | 10 | 37:37 | 33 |
| დანდი | 23 | 8 | 6 | 9 | 34:28 | 30 |
| დანფერმლაინი | 24 | 8 | 6 | 10 | 22:30 | 30 |
| სენტ ჯონსტონი | 25 | 7 | 9 | 9 | 25:35 | 30 |
| მოზერუელი | 24 | 8 | 4 | 12 | 30:38 | 28 |
| აბერდინი | 23 | 4 | 9 | 10 | 24:39 | 21 |
| სენტ მირენი | 24 | 3 | 3 | 18 | 15:48 | 12 |
| დანდი იუნ. | 24 | 2 | 4 | 18 | 16:46 | 10 |

# კიდევ ერთი კოკა გატყდა
## შენ დაგვღუპე, ბაიანო!


ჟუნიორ ბაიანოს კარიერა გაუტყდა

**რაიმუნდო** ფერეირა რამოს ჟუნიორი, იგივე ჟუნიორ ბაიანო კოკაინის ყნოსვაში ამხილეს. ხალხმა უცებ გაიხსენა, მან კარგა ხანია, რაღაც უცნაურად იცვალა იერი, მაგრამ კოკაინისტობაში ეჭვის შეტანა ვერ გავბედეთო.

ცამეტი დღის წინ, როცა ჟოაო აველანჟის თასის ფინალში „ვასკუ და გამამ“ „სან კაეტანო“ დაამარცხა, სხვა ვასკუელებთან ერთად ბაიანომაც დიდად გაიხარა, თუმცა მისთვის აჯობებდა, ფინალში სულ რომ არ ეთამაშა. მატჩის შემდეგ ფეხბურთელები დოპინგ-კონტროლზე შეამოწმეს და ბაიანოს სულაც ნარკოტიკების კვალი აღმოუჩინეს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ცამეტი დღის წინ მოხდა, თუმცა ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციამ ფაქტი მხოლოდ გუშინწინ გაახმაურა. იქაური წესებით, დოპინგ-შემოწმების ჩაგდების შემთხვევაში ფეხბურთელი ავტომატურად ისჯება 30-დღიანი დისკვალიფიკაციით, ხოლო მის საკითხს სადისციპლინო კომიტეტი, რომელსაც ბრაზილიაში ტრიბუნალს ეძახიან, ცალკე განიხილავს. ვარაუდობენ, რომ ბაიანოს ერთი წლით მოკვეთენ ფეხბურთიდან, რაც 30 წლის მოთამაშისთვის, ფაქტობრივად, კარიერის დასრულებას ნიშნავს.

ცხადია, შექმნილ ვითარებაში ვერც კლუბი დარჩება გულგრილი, თუმცა „ვასკუში“ ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებენ. კლუბის წარმომადგენელმა პაულუ რეისმა თქვა, ბაიანოს ნარკომანობის თაობაზე ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია, ამიტომ წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთო.

ჟუნიორ ბაიანო არასდროს გამოირჩეოდა დისციპლინით და აგრესიული ფეხბურთელის სახელიც აქვს. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე, ბრემენის „ვერდერში“ თამაშისას მან მეტოქეს ხელი გაარტყა, რისთვისაც ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ამის გამო ბრემენელებმა ის გააგდეს. ბაიანო სამშობლოში დაბრუნდა და „ვასკუ და გამაში“ გადასვლამდე „პალმეირასში“ თამაშობდა.

ახლახან დასრულებულ სეზონში მან სამჯერ მიიღო წითელი ბარათი. მათგან პირველი მეტოქის გალახვისთვის, გოლის გატანას რატომ ზეიმობო.

კიდევ გავიხსენოთ, რომ ბაიანო საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეცაა და ბრაზილიელები მიიჩნევენ, რომ ფინალში დამარცხება ყველაზე მეტად მის სინდისზეა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გულშემატკივრებმა ასეთი ტრანსპარანტი დაახვედრეს: „ბაიანომ ჩაძირა ბრაზილია“. იმ ფინალის შემდეგ ბაიანო ნაკრებში აღარც მიუწვევიათ, იქამდე კი 24 თამაშის ჩატარება მოასწრო.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# შავი ამბები ვერონაში



პატრიკ მბომა



ლილიან ტურამი

„ვერონასა“ და „პარმას“ შორის სერია A-ს ტურის მატჩის მიმდინარეობისას ვერონელი ფანების რისხვა დაატყდა თავს პარმელთა შავკანიან მოთამაშეებს — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ლილიან ტურამსა და აფრიკის 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელს, კამერუნელ პატრიკ მბომას. ამ რასისტული საქციელის გამო საბოლოოდ კლუბი დაისაჯა, მათი სალარო 25 ათასი დოლარით დაცარიელდა.

„უბრალოდ, სულელები არიან, მეტს ვერაფერს ვიტყვი — აღშფოთება ვერ დამალა ლილიან ტურამმა — ის, რაც „ბენტეგოდის“ სტადიონზე მოხდა, მხოლოდ ეპიზოდური გაგრძელებაა რასისტ ფანთა თავზეხელაღებული ქმედებისა. ეს ხალხი თავის სამყაროშია ჩაკეტილი და თანამედროვე ცხოვრებისა არაფერი გაეგება“.

განცვიფრება და აღშფოთება ვერც „ვერონას“ პრეზიდენტმა ჯამბატისტა პასტორელომ დამალა. ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „მიბიძგებენ იქითკენ, რომ შავკანიანი მოთამაშეები არ შევიძინო, გავრცელდა ჭორი, თითქოს „ვერონა“ და „პარმა“ ორ მოთამაშეს ერთმანეთში ცვლიდნენ. ვერონელთაგან ნაძაგები პატრიკ მბომა ამ ქალაქის კლუბში უნდა გადასულიყო. ხოლო „ვერონას“ ახალგაზრდა ფორვარდ ემილიო ბონაცოლის კარიერა „პარმაში“ უნდა გაეგრძელებინა. გამოდის, რომ ეს შეთანხმება განუხორციელებელი დარჩება. როცა შენი ფანები ასეთ საქმეებს სჩადიან, უნდა გაჩერდე“ — განაცხადა „ვერონას“ პრეზიდენტმა“. თუმც კლუბმა შემდგომში უარყო მსგავსი მოსაზრება და ოფიციალურად განაცხადა, რომ არ არის მართალი, თითქოს ვერონელები მბომაზე უარს ამბობენ იმიტომ, რომ იგი შავკანიანია, თანაც ახალგაზრდა ფორვარდ ბონაცოლის გაყიდვა მათ გეგმებში ჯერ არ შედის.

გავრცელებულ სატრანსფერო მოსაზრებაზე კი „პარმას“ გენერალურმა მენეჯერმა ფაბრიციო ლასინიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: „მწვრთნელ არიგო საკის მართლაც მოსწონს ბონაცოლის თამაში. ჩვენ დავუკავშირდით „ვერონას“ ხელმძღვანელობას და შესაძლო ტრანსფერზე ვკითხეთ, თუმც პატრიკ მბომა არასდროს გვიხსენებია“.

იტალიური კლუბების რასისტმა ფანებმა კი მართლაც გადააჭარბეს. განსაკუთრებით „ლაციოს“ ტიფოზები გამოირჩევიან, რის გამოც რომაულ კლუბს უკვე არაერთხელ მოუწია ჯარიმის გადახდა.

დიდი შეშფოთება გამოთქვა ქვეყნის კულტურის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ, რომელმაც ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს ოფიციალური წერილი მისწერა, რომელშიც მოუწოდა, ამ საქმეს მიხედოს და ყველა ღონე იხმაროს რასისტების ასალაგმავად.

# დანილევიჩუსის საქმე დაიხურა

**ლიტველ** თავდამსხმელ ტომას დანილევიჩუსს სრული უფლება აქვს, ლონდონის „არსენალში“ ითამაშოს — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ, რომელმაც ლიტველის საქმე გულდასმით გამოიძია და დახურა კიდეც.



ტომას დანილევიჩუსი

დანილევიჩუსი ლონდონურ კლუბში, რომელიც ახლახან ქართველი ზურაბ ხიზანიშვილითაც იყო დაინტერესებული, ცოტა ხნის წინ გადავიდა. ერთ დროს მოსკოვის „დინამოსა“ და შემდეგ შვეიცარიული „ლოზანას“ ფორვარდმა „არსენალის“ შემადგენლობაში სამჯერ ითამაშა. არსენ ვენგერმა იგი სამჯერვე შეცვლაზე შეიყვანა. ბოლოს ეს ინგლისის ასოციაციის თასის მესამე ეტაპის შეხვედრაში მოხდა. „მეთოფეთა“ მწვრთნელი ლიტველით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა და ნელ-ნელა მის ძირითად შემადგენლობაში დაყენებასაც აპირებდა, მაგრამ...

დანილევიჩუსი ინგლისში ბერძნული პასპორტით ჩავიდა, ანუ იგი ევროკავშირელად ითვლებოდა და „არსენალსაც“ მისი აყვანისას არანაირი შეზღუდვა არ ექნებოდა. თანაც ლიტველს სამუშაო ვიზის მიღებაც უპრობლემოდ შეეძლო. ბრიტანელებმა მის ბერძნულ პასპორტს ეჭვის თვალით შეხედეს, ყალბიაო, იფიქრეს და გამოძიებაც დაიწყეს. თუმცა ბოლოს ვერაფერი აღმოაჩინეს და საქმეც დაიხურა.

„კიდევ კარგი, თორემ ცოტაც და დანილევიჩუსს უკან გავაბრუნებდით“ — უთქვამს ვენგერს ფეხბურთის ასოციაციის განცხადების შემდეგ და თან დაუყოლებია, ლიტველმა თუ ასე გააგრძელა, დიდი მომავალი უჩანსო.

# ბიჭებო, დუდუკზე როგორა ხართ?

**თუ** ასე გაგრძელდა, იტალიელი ფეხბურთელები მალე ქართულ-დარდიმანდულად ამღერდებიან. ჯერ იყო და ვიდეოფირზე აღუბეჭდეს, როგორ სვამენ და ღრეობენ მსოფლიოს ფეხბურთის იტალიელი ვარსკვლავები მოცალეობისას, ახლა კი ჟურნალისტებმა ისიც გამოუქექეს, ვინ, სად და როგორ ატარებს დროს... ქალებთან.

კაცის ლტოლვა ქალისკენ რა გასაკვირია, გამონაკლისნი, ცხადია, არც ფეხბურთელები არიან. ჰოდა, აი, რა ამბავი დატრიალებულა, რომლის მთავარ „დამნაშავედ“ პოლიციამ ინტერნეტის პორნოგრაფიული ვებ-გვერდი www.metropolitan.it მიიჩნია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კარაბინერები იძულებულნი გახდნენ, პორნოგრაფიული გვერდი აღეკვეთათ და მისი ხელმძღვანელები დაეკავებინათ.

მაინც რა გააკეთეს იტალიელმა ფეხბურთელებმა? ერთ-ერთი იტალიური სააგენტოს ცნობით, სერია A-ს ბობოლა კლუბების ერთბაშად ათი ფეხბურთელი თავისუფალ დროს გატაცებული ყოფილა ინტერნეტით ქალების „შებმით“, რომლის ბოლოც მილანში, ერთ-ერთი მოთამაშის სახლში (ვინაობას არ ამხელენ) ატეხილი ღრეობა და ორგიები ყოფილა. ქალების მოყვარულნი გამთენიისას დაშლილან. როგორც გითხარით, ვინაობა არ გაუმხელიათ, თუმც ჩვენი იტალიელი კოლეგები პარალელსაც ავლებენ, იქნებ ეს ამბავი მილანის ერთ-ერთ პრესტიჟულ ღამის კლუბ „ტოკევილში“ მყოფთაგან ერთ-ერთს უკავშირდებაო. „ტოკევილში“ დროსტარებაზე „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ. მაშინ „რომას“ ფრანგ მცველ ვენსან კანდელას ვაჟის შეძენა სწორედ „ტოკევილში“ აღუნიშნავს. მის გვერდით ყოფილან გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ერთ-ერთ ქერათმიან გოგონასთან თავბრუდამხვევად ცეკვავდა და ფრანჩესკო ტოტი. რომაელთა კერპი ვიდეოკამერამაც დააფიქსირა, როცა იგი რალაცაზე გულიანად ხარხარებდა. მათ გარდა ღამის კლუბში ჩინებულად ერთობოდნენ მილანელები — შევჩენკო, ამბროზინი, კოსტაკურტა, კოკო, სერჟინიო, როკე ჟუნიორი და ტურინელები — ტაკინარდი, იულიანო, ტრეზეგე და ფილიპო ინძაგი.

მოდი და გაიგე ახლა, ვის სახლში მოხდა ღრეობა და ორგიები, ლოგიკას თუ მივყვებით, ინკოგნიტო ფეხბურთელი „მილანის“ ექვსეულში უნდა ვეძებოთ. აი, სულ ეს არის, ჩვენ კი ის ვიკითხოთ, ღვინისა და ქალების მერე ფეხბურთელები დუდუკსაც ხომ არ მოითხოვენ...



მოედანზე პარტნიორები ვენსან კანდელა (მარცხნივ) და გაბრიელ ბატისტუტა დროსტარებაშიც ერთად არიან

**გიორგი გუგაძიძე**

## ფეხბურთის რუპორთან

**იტალიურმა** „ინტერმა“ „ტორინოს“ ფორვარდი მარკო ფერანტე სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. „ცხოვრებაში უდიდესი შანსი მომეცა, დიდ კლუბში ვითამაშებ და ვეცდები, თავი გამოვიჩინო“ — განაცხადა 29 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც სადებიუტო მატჩი, შესაძლოა, უკვე მომავალ ტურში ჩაატაროს. „ინტერი“ და „ტორინო“ კი მოლაპარაკებებს კვლავაც აწარმოებენ და ტურინელთა ნახევარმცველმა ფრანკო სემიოლიმ ეგებ კარიერა მილანურ კლუბში გააგრძელოს.

**ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ მცველ გარი კელის თიაქრის ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის გამოც მას დაახლოებით ექვსი კვირა გაუცდება. „კელის არყოფნა დიდი დანაკლისია. იმედი მაქვს, ოპერაცია წარმატებით ჩაივლის და ფეხბურთელი მინდორს შეძლებისდაგვარად მალე დაუბრუნდება. გარის თიაქრის ოპერაცია ორი სეზონის წინაც გაუკეთეს, ახლა კი ისევ გაურთულდა“ — განაცხადა ლიდსელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ.**

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი მარსელინიო მარსელის „ოლიმპიკიდან“ სამშობლოში, თავის ყოფილ კლუბ „გრემიოში“ დაბრუნდა. ფეხბურთელი ფრანგული კლუბის ახალი მწვრთნელის ხავიერ კლემენტეს ტაქტიკურ სქემას ვერ მოერგო და გაცლა არჩია. აღსანიშნავია, რომ „მარსელმა“ მარსელინიო შარშან ზაფხულში 4,5 მილიონ გირვანქად სწორედ „გრემიოსგან“ შეიძინა, ახლა კი უკან 1,3 მილიონ გირვანქად გაყიდა.

**ხორვატი ნახევარმცველი დრაჟენ ბრნჩიჩი „მილანმა“ სეზონის ბოლომდე „ვიჩენცაში“ გაანათხოვრა. ფეხბურთელი, რომელიც ბელგიურ პასპორტსაც ფლობს, „სან სიროზე“ შარშან ზაფხულში „მონცადან“ გადავიდა. მას შემდეგ გუნდში 5 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა ბოლო ხანს აღარ ათამაშებდნენ და მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ მისი დროებით გაშვება არჩია. „მილანმა“ ბრნჩიჩის დარად კიდევ ერთი ფეხბურთელი გაანათხოვრა: 19 წლის არგენტინელი მცველი ფაბრიციო კოლოჩინი სეზონის ბოლომდე სერია B-ს „კოზენცაში“ ითამაშებს.**

**ესპანურმა** „სელტამ“ არგენტინული „უნიონ სანტაფედან“ ნახევარმცველი ხუან ხოსე ხაიო გადაიბირა. პერუელი ნახევარმცველი ვიგოურ კლუბში სეზონის ბოლომდე იჯარით დარჩება, ხოლო შემდეგ შესაძლოა, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტიც გააფორმოს. 28 წლის ფეხბურთელი არგენტინულ კლუბში 1998 წელს ჩაირიცხა, მანამდე კი ლიმას „ალიანსას“ ღირსებას იცავდა.

**ინგლისელმა მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა, რომელიც ახლა „ლესტერს“ უდგას სათავეში, თავის ყოფილ კლუბ „ჯილინგემიდან“ ნახევარმცველი ჟუნიორ ლუისი გადაიბირა. „ტრავმირებული მოთამაშეები მოგვიმრავლდნენ და ახალი ძალის დამატება გვჭირდება, ჟუნიორი „ჯილინგემში“ ჩინებულად თამაშობდა და მჯერა, პრემიერლიგაშიც გამოიჩენს თავს“ — განაცხადა ტეილორმა. 27 წლის ფეხბურთელი „ლესტერმა“ სამთვიანი იჯარით აიყვანა, თუმცა შეუძლია კონტრაქტი გაუხანგრძლივოს.**

**ბელარუსი** მცველი სერგეი გურენკო ესპანურმა „სარაგოსამ“ სეზონის ბოლომდე იტალიურ „რომასგან“ ინათხოვრა. შარშანწინ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ „რომაში“ ჩარიცხული ბელარუსი ფეხბურთელი ფაბიო კაპელოს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა და რომაელებმა დროებით მისი გაშვება არჩიეს. ხელშეკრულება ჯერჯერობით საიჯაროა, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ გურენკო „სარაგოსაში“ საბოლოოდ დარჩეს.

**იტალიური „ვერონას“ ვეტერანი მცველი ჯანკარლო ფილიპინი ფრანგულმა „ნიცამ“ იჯარით აიყვანა. 32 წლის ფეხბურთელი ვერონული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და გადასვლა არჩია. საფრანგეთში იგი სეზონის ბოლომდე ითამაშებს.**

**ინგლისური** „ჩელსის“ ნახევარმცველმა ჯოდი მორისმა „ჯილინგემთან“ სათასო მატჩში მუხლი დაიზიანა და ორ თვეზე მეტი გაუცდება. ექიმების ცნობით, 22 წლის ფეხბურთელს მყესები გაუწყდა. ლონდონურ კლუბს კი შესაძლოა, მალე ხორვატი მარიო სტანიჩი დაუბრუნდეს, რომელიც ტრავმის გამო სამ თვეს ვერ თამაშობდა.

**ინგლისურმა „დერბი ქაუნთიმ“ ესპანური „ლას პალმასის“ ნახევარმცველის, ტორდურ გუდიონსონის შეძენის სურვილი გამოთქვა. ისლანდიელი ფეხბურთელი პრიმერადივიზიონურ კლუბში ზაფხულში „გენკიდან“ ჩაირიცხა, თუმც ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და გუნდის გამოცვლას აპირებს. „დერბი ქაუნთი“ და „ლას პალმასი“ ოფიციალურ მოლაპარაკებებს მალე დაიწყებენ. არ გამორიცხავენ, ინგლისელებმა ფეხბურთელი ინათხოვრონ.**

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონ ლევერკუზენის „ბაიერის“ ბრაზილიელი ფორვარდის, რობერტო პაულო რინკის შეძენის სურვილი გლაზგოს „სელტიკმა“ გამოთქვა. „პაულო მზადაა, ბუნდესლიგა დატოვოს და შოტლანდიაში გადავიდეს. ამის თაობაზე უკვე მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს“ — იუწყება ერთ-ერთი გერმანული სააგენტო. აქვე აღნიშნავენ, რომ 27 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილს ინგლისის პრემიერლიგის კლუბებიც გამოთქვამენ.

**ურუგვაელმა ფორვარდმა დანიელ ფონსეკამ შესაძლოა, კარიერა „სენტ ეტიენში“ გააგრძელოს. „იუვენტუსში“ ახლა ფორვარდების კონკურენციაა. 31 წლის ფონსეკამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და კლუბის გამოცვლას აპირებს. „ნაპოლის“ ყოფილ ფორვარდს ამ დღეებში საფრანგეთში ელიან და შესაძლოა, მან კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი. ტურინელთა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ „სენტ ეტიენიდან“ შეეხმიანენ, თუმც განაცხადა, რომ მათ არ სურთ, ფონსეკამ „იუვენტუსი“ დატოვოს.**

**ინგლისის** პირველდივიზიონურმა „ვულვერჰემპტონმა“ „სანდერლენდისგან“ მცველი პოლ ბატლერი შეიძინა და მასთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. პრემიერლიგელებს კი სანაცვლოდ მილიონი გირვანქა გადაუხადა. „გახარებული ვარ, კარგი მცველი შევიმატეთ“ — განაცხადა თემურ ქეცბაიას გუნდის მწვრთნელმა დევიდ ჯონსმა. ირლანდიელი ბატლერი კი სადებიუტო მატჩს ალბათ ამ უქმეებზე „ჯილინგემის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

**იუგოსლავიელმა ნახევარმცველმა იოან სტანკოვიჩმა „მალიორკა“ დატოვა და „მარსელთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 29 წლის ფეხბურთელი ესპანურ კლუბში 1996 წელს „ცრვენა ზვეზდადან“ ჩაირიცხა. „მალიორკამ“ მის სანაცვლოდ 6,3 მილიონი დოლარი მიიღო. ორი სეზონის წინ უეფას თასზე „მალიორკამ“ „მონაკო“ 4:1 რომ დაამარცხა, სტანკოვიჩმა ფრანგებს ჰეთ თრიქი გაუხერხა.**

**ნიგერიელი** ფორვარდი ემანუელ ოლისადებე „პანათინაიკოსმა“ შეიძინა. „ფეხბურთელთან 18-თვიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, თუმც შესაძლოა, შეთანხმება სამ წლამდე გავახანგრძლივოთ“ — იუწყება ათენური კლუბი. აღსანიშნავია, რომ ოლისადებეს ახლა პოლონეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, იგი ბოლოს ვარშავის „პოლონიაში“ თამაშობდა. ბერძნებმა კი მის სანაცვლოდ 1,3 მილიონი დოლარი გაიღეს.

**ინგლისური „ქოვენთრის“ ფორვარდმა სტივ ფროგატმა შესაძლოა, კარიერა დაასრულოს, რადგან მან მუხლის ქრონიკული ტრავმა ვერაფრით მოირჩინა. ექიმების აზრით, თუ იგი კვლავ ითამაშებს, მცირედი ტრავმის შემთხვევაში ხეიბრად დარჩენის საშიშროება ელის. „ვულვერჰემპტონის“ ყოფილ მოთამაშეს წინა თვეში ოპერაციაც კი გაუკეთეს, მაგრამ ამან ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.**

# გაზეთი, ვაშლი და ორი ბოთლი

## 70-იანი წლების ვარსკვლავი, ნაკრებში ორჯერ ნათამაშევი და ოცჯერ ნაოპერაციევი კაცი არყის ქურდობისთვის დააკავეს



70-იანი წლები. ალან ჰადსონი ფეხბურთელობისას

**ეს** ხომ ალან ჰადსონია, კაცო! — აღმოხდა აღმოსავლეთ ლონდონის უბან უაითჩეპელში მდებარე „სეინსბერის" სუპერმარკეტის ერთ-ერთ გამყიდველს. მოგვიანებით იგი ჟურნალისტებს ეუბნებოდა: „ძალიან გვებრალება და ვწუხვართ, რომ ყველაფერი ასე მოხდა. საწყალს ამ სიცივეში შორტები ეცვა და საერთოდ, მაწანწალასავით გამოიყურებოდა".

„დაცემული კერპი" — ასე მოიხსენიებენ გუშინდელი ინგლისური გაზეთები ალან ჰადსონს, 49 წლის კაცს, რომელიც 70-იან წლებში „ჩელსის" გულშემატკივრებს ალაფრთოვანებდა, მერე ცოტა ხანს „სტოკ სიტიში" და „არსენალშიც" თამაშობდა, ეროვნული გუნდის მაისურა ორჯერ ჩაუცვამს და კარიერის ბოლოს ამერიკულ „სიეტლშიც" უბურთავია. სწორედ იგი დააკავეს გუშინწინ სუპერმარკეტის უსაფრთხოების თანამშრომლებმა და პოლიციას გადასცეს. დაკავებისას ჰადსონს ბოთლი არაყი, ბოთლი ღვინო, გაზეთები და ერთი ცალი ვაშლი უპოვეს.

ეს ახლაა, რომ კარიერის დასასრულს ბრიტანელი ფეხბურთელები ფინანსურად უზრუნველყოფილნი ხვდებიან, თორემ იმ დროს, როცა ჰადსონი „სტემფორდ ბრიჯზე" ჰადსონობდა, სამციფრიანი გასამრჯელოც კი დიდ ამბად ითვლებოდა. ჰოდა, დაამთავრა ამ კაცმა საფეხბურთო მოღვაწეობა, პატარა საქმეც გახსნა, მაგრამ...

სამი წლის წინ ჰადსონს ქუჩაში მანქანა დაეტაკა — მრავალსაათიანი ოპერაციის მიუხედავად, მისი სიცოცხლე ერთი თვის მანძილზე საფრთხეში იყო. გადარჩა, მაგრამ დაშავებულ ორგანოებზე კიდევ 19 (!) ოპერაციის გაკეთება მოუხდა. სანამ ამ დღეში იყო, საქმეც ჩაუფლავდა და 1999 წლის ნოემბერში თავი ბანკროტად გამოაცხადა. ცოტა ხნით ადრე ცოლსაც გაშორდა. მას მერე მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს ჩელსიში, ერთ დროს მშობლიური „სტემფორდ ბრიჯის" მახლობლად.

...პოლიციის განყოფილებაში ყოფილ ნახევარმცველს ჩვენება ჩამოართვეს და გაუშვეს. „თებერვლის მესამე კვირაში დავიბარეთ, თუმცა ჯერ არანაირი ბრალდება არ წაგვიყენებია" — განაცხადა უაითჩეპელ სამართალდამცავთა პრეს-ატაშემ.

„ქურდობაზე არასდროს მიფიქრია და ეს მხოლოდ გაუგებრობის შედეგია. ვფიქრობ, პოლიციამაც დამიჯერა" — თქვა ჰადსონმა და რეპორტიორებს ინციდენტის საკუთარი ვერსია მოუთხრო: „კიდევ რაღაცეების ყიდვასაც ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს ჩემმა მობილურმა დარეკა და ვინაიდან შენობაში კარგად ვერ იჭერდა, გარეთ გამოვედი. როცა დამაკავეს, მაღაზიის კარებიდან ორიოდ ნაბიჯში ვიდექი".

ვითომ? ასეა თუ ისე, ინგლისური საზოგადოება შოკშია — კაცს, ვინც წლების მანძილზე ხალხს სიამოვნებას ჰგვრიდა, ასე არ უნდა გაუჭირდესო.

**გიგა ძოგახიძე**



ივან დე ლა პენია

# მათ იცავს მათი პოლიცია

**ესპანური** „ბარსელონას" ნახევარმცველი ივან დელა პენია ორშაბათს მოტაცებას გადაურჩა. ვარჯიშის შემდეგ, გუნდის ბაზიდან სახლის გზას დამდგარ ფეხბურთელს თურმე მავანი განგსტერი ასდევნებია, მისი ბინის მისამართი გაუგია და მოგვიანებით სახლშიც შევარდნია. დელა პენიამ იყოჩაღა, ბანდიტს ხელიდან დაუსხლტა და ქუჩაში გავარდა, მერე ყაჩაღს დაელოდა, მას კარგად დააკვირდა და პოლიციაში გაიქცა, ასე და ასე მოხდაო.

ბარსელონას პოლიციის ერთ-ერთ ქვეგანყოფილებაში შექმნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა სამძებრო სამუშაოები ჩაატარა და სამშაბათს დილით დამნაშავე დააკავა (რა მეთოდი [illegible], ჩვენთვის უცნობია). ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, მისი დაკავებისთვის დიდი ოფლი არ უღვრიათ, რადგან თავდამსხმელი თავად გამოცხადდა კატალონიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის, კასტელდეფელსის პოლიციაში. არ გეგონოთ, იქ მისულმა დანაშაული აღიარა, უბრალოდ, პოლიციელებს დაენახა, აქ ვარო. სულ რომ არ დაიბნეთ, განგიმარტავთ — 35 წლის დაკავებულს პირობითი სასჯელი ჰქონდა. თუმცა განაჩენი არც ისეთი პირობითი გახლდათ — იგი ვალდებული იყო, ყოველდღე ამ ქალაქის პოლიციაში გამოცხადებულიყო და სამართალდამცავებს დანახვებოდა.

სამშაბათს რომ დამნაშავე კასტელდეფელსის პოლიციაში მივიდა, პოლიციელებისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. ჰოდა, ისიც უმალ შეიპყრეს. სხვა გზა რომ აღარ დარჩა, თავდამსხმელმა დანაშაული აღიარა, თან ისიც დააყოლა, დელა პენიას მოტაცება ფულის გამოძალვის გამო მინდოდაო.

ესპანურ ფეხბურთში ბოლოს ასეთი რამ 20 წლის წინ მოხდა. მსხვერპლი მაშინაც „ბარსელონას" ფეხბურთელი, ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ენრიკე კასტრო, მეტსახელად ქუინი იყო. მაშინაც ყველაფერი უმტკივნეულოდ დასრულდა, პოლიციამ კასტროს ადგილსამყოფელს მიაგნო და ფეხბურთელი უვნებლად გაათავისუფლა.

ესპანელებსაც თამამად შეუძლიათ თქვან — ჩვენ გვიცავს ჩვენი პოლიცია.

**ვანო ოქრობირიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;

2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;

3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);

4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;

5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;

6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



მატერჰორნი

# მთიელი ზევსიდან ატლანტის კლდეებამდე

# ალპინიზმი და ოლიმპიზმი

**ერთი** შეხედვით ალპინიზმი და ოლიმპიზმი ერთმანეთისგან ისე არიან დაშორებულნი, როგორც ცა და დედამიწა, მაგრამ მთამსვლელები ალპინიზმსა და ოლიმპიზმს შუა ისე მოქცეულან, როგორც მწვერვალზე ყოფნისას ცასა და დედამიწას შორის არიან.

და რადგან ალპინიზმსა და ოლიმპიზმს შორის კავშირურთიერთობაზე ამგვარ ფილოსოფიურ მსჯელობას ფაქტებით საუბარი სჯობს, ჩვენც გავიხსენოთ ზოგი რამ, რაც, შესაძლოა, მკითხველთა ნაწილისთვის უცნობია.

მთა და ოლიმპიზმი ერთმანეთს ჯერ კიდევ მაშინ დაუკავშირდა, როცა ღმერთების ერთმა ნაწილმა თავის სატახტოდ თესალიაში აღმართული საბერძნეთის უმაღლესი მწვერვალი, 3000 მეტრს მიახლოებული ოლიმპოს მთა აირჩია.

ოლიმპოს მთას ზოგი შეცდომით უკავშირებს ეროვნულ სამლოცველო ოლიმპიას, სადაც ანტიკური ოლიმპიური თამაშები იმართებოდა. მათ ოლიმპია ოლიმპიელ ღმერთთა მთის ძირი ჰგონიათ, მაგრამ იგი სამხრეთ საბერძნეთშია, ოლიმპოს მთა კი ჩრდილოეთში, მაკედონიის საზღვართან, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ოლიმპიელმა ღმერთებმა ზევსის მეთაურობით გიგანტებს სძლიეს და ამ გამარჯვების აღსანიშნავად, ერთ-ერთი ვერსიით, ბერძენთა უზენაესმა ღვთაებამ ოლიმპიური თამაშები დააწესა, შეიძლება ითქვას, რომ მთა და ოლიმპიზმი „მთიელმა ზევსმა“ დაუკავშირა ერთმანეთს.

მაგრამ გვერდზე გადავდოთ ოლიმპიელ ღმერთთა ამბავი, მითები და გავიხსენოთ ატლანტის ოლიმპიური თამაშები (1996 წ), რომლის ეპიცენტრში ორგან იყო აღმართული ხელოვნური კლდეები. ერთგან ინსტრუქტორის მეთვალყურეობით ნებისმიერ გამვლელს, დიდსა თუ პატარას, შეეძლო საკუთარი თავის გამოცდა, მეორე „კლდეზე“, რომელსაც უარყოფითი დახრილობის მონაკვეთებიც ჰქონდა, მეტ-ნაკლებად გავარჯიშებული მეკლდეურები ადიოდნენ.

ვერ გეტყვით, ატლანტელებმა შუაგულ ქალაქში რა მიზნით აღმართეს ეს კლდეები. იქნებ ისინი უბრალო გამვლელ-გამომვლელთა თავშესაქცევად მოაწყეს, ან სულაც ამგვარად ცდილობდნენ მეკლდეურობის პოპულარიზაციას? შესაძლოა, ამ კლდეებს მიწიერი როლიც ენიჭებოდა და მხოლოდ და მხოლოდ ფულის მაზე გახლდათ.

იმ კლდეებს რომ ვიხსენებთ, უფრო სარწმუნო ის გვეჩვენება, რომ მეკლდეურები ხუთი რგოლის გარშემო დარბოდნენ და შიგ შეღწევას ლამობდნენ. ამგვარი სირბილი მათ მრავალი წლის წინათ დაიწყეს. თუ თეორიულ მსჯელობას არ ჩავთვლით, ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე გადაიდგა. მაშინ გერმანიაში საჩვენებელი ასპარეზობები გაიმართა. ოცი ქვეყნის მონაწილეთა შორის იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი თბილისელი ლადო გურჩიანი. იქვე ჩატარდა კონფერენციაც თემაზე: „მეკლდეურობა, როგორც ოლიმპიური სახეობა“. ამ საკითხზე ხმები გაიყო, მაგრამ კამათი არ შეწყვეტილა, იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან მეკლდეურობას ოლიმპიურ სახეობად აღიარებდნენ.

1993 წელს მოსკოვში გაიმართა მეკლდეურთა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი და მთამსვლელთა საერთაშორისო ფედერაციის (უიაა) მეკლდეურობის ასოციაციის სხდომა, სადაც გამოთქვეს რწმენა, რომ ეს სახეობა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იქნებაო. ეს ოლიმპიური თამაშები, რომელიც სოლტ ლეიკ სიტიში ჩატარდება, კარს მოგვადგა, მაგრამ მეკლდეურთა შეჯიბრება მის პროგრამაში არაა. ვერც იქნება მანამ, სანამ არ გაირკვევა, მეკლდეურობა ზამთრის სახეობაა თუ ზაფხულის. ისიც გასარკვევია, მეკლდეურობა მთამსვლელობისგან დამოუკიდებელი სახეობაა თუ არა. მართალია, უიაა-ში მეკლდეურობის კომიტეტი ცალკე არსებობს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვერ დაუდგენიათ, თავად მთამსვლელობა თუა სპორტის სახეობა. ეს საკამათოა თვითონ მთამსვლელთათვის, რომლებიც შეჯიბრებებს არც აწყობენ (ამ მხრივ გამონაკლისი საბჭოთა კავშირი იყო, ახლა კი დსთ-სა და მისი წევრი ზოგიერთი ქვეყნის პირველობებია), მაგრამ მეკლდეურობაში მსოფლიოს პირველობებიც ტარდება.

როცა მთამსვლელობისა და მეკლდეურობის ოლიმპიურ სახეობებად აღიარებაზე მსჯელობენ, უნდა გავიხსენოთ მეტად საინტერესო ფაქტები, რომლებიც ოლიმპიურ მედლებს უკავშირდება.

ოლიმპიური ოქროს მედალი რომ მოიპოვო, ცხადია, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უნდა გახდე, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ამგვარი ჯილდო მიიღო ხალხმა, რომლებიც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არ გამხდარან. მეტიც, მათი სახეობა ოლიმპიური არ ყოფილა.

ოლიმპიური ოქროს მედლებით სულ ხუთი მთამსვლელი არის დაჯილდოებული. პირველი, ვინც ეს ჯილდო მიიღო, ინგლისელი გენერალი ჩარლზ ბრიუსი გახლდათ — 1924 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი. ამ ექსპედიციის წევრებმა ჯონ მელორმა და ენდრიუ ირვინმა იმ დროისთვის უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ უკანასკნელად 8600 მეტრის სიმაღლეზე მოჰკრეს თვალი. შესაძლოა მწვერვალსაც მიაღწიეს და დაშვებისას დაიღუპნენ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მათ მიერ აღებული სიმაღლე პრაქტიკულად ყველა დანარჩენ რვაათასიან მწვერვალს აჭარბებდა (მელორისა და ირვინის მიღწევა 1953 წლამდე ვერავინ გააუმჯობესა).

ჯომოლუნგმას ტრაგედიამ მსოფლიო შეძრა. ლონდონის წმინდა პავლეს ტაძარში დაღუპული მთამსვლელების სულის მოსახსენიებლად გამართულ პარაკლისს ინგლისის მეფე ჯორჯ V და დედოფალი ალექსანდრა დაესწრნენ.

ყველამ ერთხმად აღიარა ექსპედიციის უდიდესი მიღწევა. ამის დასტური გახლდათ თუნდაც ის, რომ ექსპედიციის მეთაური ოლიმპიური ოქროს მედლით დააჯილდოვეს. თუმცა ამ ჯილდოს, უწინარეს ყოვლისა, მელორი და ირვინი იმსახურებდნენ. უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ისინი, სიკვდილის შემდეგ, ოლიმპიური ოქროს მედლებით დაეჯილდოვებინათ, ისევე, როგორც ეს 1932 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა, როცა ფრანც შმიდს ორი ოლიმპიური ოქრო გადასცეს — ერთი მისთვის განკუთვნილი, ხოლო მეორე — დაღუპული ძმისთვის. ეს ჯილდოები ძმებმა ფრანც და ტონი შმიდებმა ალპების ულამაზეს და ურთულეს მწვერვალ მატერჰორნზე ასვლისას დაიმსახურეს. ძმებმა ეს ლაშქრობა 1931 წელს ჩრდილოეთის მხრიდან განახორციელეს. მანამდე არავის ეგონა, მწვერვალის 1200-მეტრიანი შვეული კედლის დაძლევა შესაძლებელი თუ იყო. ასე რომ, ძმებმა იმ დროისთვის შეუძლებელი შეძლეს.

ტონი შმიდი ოლიმპიური ოქროს მედლით დაჯილდოვებამდე ცოტა ხნით ადრე მთაში დაიღუპა.



გენერალი ჩარლზ ბრიუსი

ბოლოს, კერძოდ, 1936 წელს ოლიმპიური ოქროს მედლები გადაეცათ შვეიცარიელ ცოლ-ქმარს ჰეტი და გიუნტერ ოსკარ დირენფურტებს, რომლებმაც 1934 წელს ყარაყორუმში ბალტოროსა და სია კანგრის მწვერვალებზე სარეკორდო ასვლები განახორციელეს.

ვფიქრობთ, ამ ასვლებზე ღირს ორი სიტყვის თქმა და ცოლ-ქმარის სავიზიტო ბარათის გაცნობაც საინტერესო იქნება, მითუმეტეს, რომ ამ ექსპედიციის შესახებ ბევრიც არაფერია ცნობილი ქართველი მკითხველისთვის.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიუნტერ ოსკარ დირენფურტი, რომელსაც მეტსახელად „ჰიმალაის მეფე“ შეარქვეს, სახელგანთქმული მთამსვლელი და ექსპედიციების უნარიანი ხელმძღვანელი გახლდათ. მისი მეთაურობით ბევრი საერთაშორისო ექსპედიცია დამთავრდა წარმატებით. პროფესორი მწვერვალებს ხშირად ცოლთან ერთად იპყრობდა. შვილიც, ნორმან დირენფურტი, მშობლების კვალს გაჰყვა. 1952 წელს იგი ჯომოლუნგმას დასალაშქრად მოწყობილი შვეიცარიელთა ექსპედიციის წევრიც იყო, როგორც ფოტოგრაფი და კინოოპერატორი.

„მთელი ჩემი ცხოვრება, როგორც მეცნიერისა და ალპინისტის, მწერლისა და ფოტოგრაფის, ჰიმალაის, ჩვენი პლანეტის ამ ბუმბერაზი მთიანი მასივის სისტემას მივუძღვენი — ამბობს ოსკარ დირენფურტი — მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას მე მუდამ განვიხილავდი არა როგორც ვიწრო ეროვნულ ინტერესს, არამედ როგორც მთელი კაცობრიობის საერთო საქმეს.

ჰიმალაის სამი დიდი ექსპედიცია — 1933, 1934, 1955 წლებისა სახელწოდებით: „ჰიმალაის საერთაშორისო ექსპედიციები“, ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. ჟურნალი „ალპინიზმი“, რომლის კორესპოდენტიც მე გახლავართ, მხარს უჭერდა „დიდი ჩაბმის“ ამ ლამაზ იდეას“.

მთამსვლელთა საერთაშორისო ექსპედიციები წინათ მიზანს იშვიათად აღწევდნენ, რადგანაც ასეთ გუნდებში თავს იჩენდა „შენ-ჩემობანა“, წინა პლანზე ყველანი პირად ან თავიანთი ქვეყნის ინტერესებს აყენებდნენ, ექსპედიციის დიდი მიზანი არავის ახსოვდა. ამიტომაც იყო, საერთაშორისო ექსპედიციები ხშირად მარცხით რომ მთავრდებოდა.

გიუნტერ ოსკარ დირენფურტის საერთაშორისო ექსპედიციების წევრები კი შეხმატკბილებულები იყვნენ და ამტომაც იმარჯვებდნენ, ამიტომაც დაამყარეს საოცრად მოკლე დროში ყარაყორუმში, ბალტოროს რაიონში, ბალტორო კანგრისა და სია კანგრის მასივებზე რეკორდები.

„ჰიმალაის მეფემ“ ამ საერთაშორისო ექსპედიციებისთვის სახსრები კინოფირმის საშუალებით გამოძებნა. ფირმას კინოფილმ „ჰიმალაის დემონისთვის“ გადაღება მთაში ჰქონდა განზრახული, მაგრამ ძუნწმა დამფინანსებლებმა ფული ცოტა გაიმეტეს. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ კომბინირებულ ექსპედიციას, რომლის წევრებსაც კინოც უნდა გადაეღოთ და მწვერვალებიც დაელაშქრათ, დაუჯერებელი სიძნელეები შეხვდებოდათ.

მთამსვლელები თავდაპირველად ორ ჯგუფად გაიყვნენ და 3 აგვისტოს ორივემ პირველი წარმატება იზეიმა. ერთმა ჯგუფმა, რომელშიც ჯეიმს ბელიაევი (დიდი ბრიტანეთი), პიერო გილიონე (იტალია), ანდრე როში (შვეიცარია) იყვნენ, მანამდე ფეხდაუდგმელი მწვერვალი „ოქროს ტახტი“ დაიპყრო.

„ოქროს ტახტი“ ბალტორო კანგრის ძველი სახელწოდებაა. დირენფურტის ექსპედიციის წევრები ამ მასივის ყველაზე დაბალ (7260 მ) მწვერვალზე ავიდნენ (უმაღლესის — ჩრდილოეთის ანუ მთავარი მწვერვალის სიმაღლე 7312 მეტრია. მასზე პირველად 1963 წელს ავიდნენ იაპონელები შიბატა, კონო, შიმა და ფუიმოტო).

იმავე დღეს სია კანგრის (იგივე ქუინ მერიანს „ავსტრიის პიკი“, 7315 მ.) დასავლეთ მწვერვალზე პირველნი ავიდნენ გერმანელები: ჰანს ერტლი, ალბერტ ჰ ეჰტი, შვეიცარიელი ფრაუ ჰეტი დირენფურტი და მისი მეუღლე გიუნტერ ოსკარ დირენფურტი. ჰეტი დირენფურტი ამ მწვერვალიდან დაბრმავებული დაბრუნდა, მაგრამ თვალები მალე მოურჩა. აი, ამ ასვლისთვის დაიმსახურა მან ოლიმპიური ოქროს მედალი.

ჰეტი დირენფურტი იყო პირველი ქალი, რომელმაც ასეთ სიმაღლეს მიაღწია. მისი რეკორდი მთელი ოცი წლის განმავლობაში ფრანგი კლოდ კოგანის განეშის პიკზე (7406 მ) ასვლამდე ვერც ერთმა ქალმა ვერ გააუმჯობესა.

ახლა კვლავ დირენფურტის ექსპედიციას დავუბრუნდეთ. „ოქროს ტახტის“ დამპყრობლებმა 10 აგვისტოს სია კანგრის ცენტრალურ მწვერვალიდანაც პირველებმა გადმოიხედეს (მწვერვალის სიმაღლე ზუსტად დადგენილი არ არის. მიახლოებული გამოანგარიშებით 7315 მეტრია). ორი დღის მერე გერმანელებმა ერტლმა, ჰეჰტმა და ქაშმირელმა მებარგულმა ჰაკიმ ბეგმა სია კანგრის თითქმის 7315 მეტრის სიმაღლის აღმოსავლეთი მწვერვალიც დალაშქრეს. იმავე დღეს, ერტლმა და ჰეჰტმა ამ მასივის ყველაზე მაღალ, ჩრდილოეთის ანუ მთავარ მწვერვალსაც (7422 მ) პირველებმა მოახრევინეს ქედი.

ერთი სიტყვით, დირენფურტის ექსპედიციამ წარმატებით დაამთავრა თავისი საქმე. მისი ჯგუფის შვიდმა წევრმა და ერთმა მებარგულმა, საოცრად მოკლე დროში — 10 დღეში, 5 იქამდე აულებელი შვიდიათასიანი მწვერვალი დალაშქრა, თანაც ექსპედიციის მეთაურის მეუღლემ ქალთა სასიმაღლო ასვლის რეკორდი დაამყარა. ეს გაუგონარი წარმატება იყო. ამიტომ ექსპედიციის მეთაური და მისი მეუღლე ოლიმპიური ოქროს მედლებით დააჯილდოვეს.

ერთხანს მთამსვლელებს ალპინიზმის თემაზე დაწერილ წიგნებში და ასვლების ანგარიშების შედგენაში „ოლიმპიურ ჰონორარს“ უხდიდნენ, მერე კი ესეც დაივიწყეს.

იქნებ სწორიცაა, რომ მთამსვლელებს არც ოლიმპიური მედალი და არც სხვა ჯილდოები ეძლევათ (სახელმწიფო ჯილდოების გარდა). საქმე ის არის, რომ ალპინიზმში ძნელია ასვლების დაპირისპირება. სირთულის ერთნაირი კატეგორიის მწვერვალებიც კი ხშირად ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებიან. ასვლის სირთულეს განსაზღვრავს ამინდიც. ხშირად ავდარში სირთულის დაბალი კატეგორიის მწვერვალზე ასვლა უფრო ძნელია, ვიდრე კარგ კლიმატურ პირობებში რთული მწვერვალის დალაშქვრა.

რაც მთავარია, მთამსვლელები ხომ ჯილდოებისთვის არ ადიან მწვერვალზე.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ოლიმპოს მთა — ოლიმპიელ ღმერთთა საბრძანებელი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# პირუტყვს ზეიმზე რა ესაქმებაო

30 იანვარი

**პორტლენდი 92:81 ჩიკაგო**
პორტლენდი: საბონისი (23), სმიტი (18)
ჩიკაგო: მერსერი (22), ბრენდი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 105:79 გოლდენ სტეიტი**
საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (16)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (18), პიუზი (17)

**სიეტლი 88:102 იუტა**
სიეტლი: პეიტონი (23)
იუტა: მელოუნი (25 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), მარშალი (17)

**ჰიუსტონი 85:103 მაიამი**
ჰიუსტონი: მობლი (22), ფრენსისი (21 ქულა, 10 მოხსნა)
მაიამი: მეისონი (19 ქულა, 15 მოხსნა), ჰარდევეი (15 ქულა, 11 პასი)

**ტორონტო 96:89 ფილადელფია**
ტორონტო: პეტერსონი (22), კარი (17), ვილიამსი (16)
ფილადელფია: აივერსონი (38), ჰილი (16 ქულა, 14 მოხსნა)

**ორლანდო 93:86 ინდიანა**
ორლანდო: არმსტრონგი (23 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), მაკგრეიდი (19)
ინდიანა: მილერი (18), სუნდოვი (17), როუზი (16)

**კლივლენდი 96:102 ლეიკერსი**
კლივლენდი: მილერი (25), კოულზი (16)
ლეიკერსი: ბრაიანტი (47), გრანტი (19 ქულა, 14 მოხსნა)

„ფილადელფია სიქსერზი", გარდა იმისა, რომ ლიგაში დღესდღეობით საუკეთესო შედეგს მიაღწია, იმ თითებზე ჩამოსათვლელ გუნდებს მიეკუთვნება, რომელთაც სტუმრად უფრო მეტი მოუგიათ, ვიდრე შინ. ფილადელფიელები იმითაც იამაყებენ, რომ მანამდე ზედიზედ 13 მასპინძელი შეარცხვინეს საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ, თუმც ამ თარს რიცხვს ველარ გადააბიჯეს. მარცხით დასრულდა „სიქსერზის" სტუმრობა კანადურ ტორონტოში. ტორონტოელთ ხელი ვერც თავიანთი მთავარი მექულის და ლიდერის ვინს კარტერის არყოფნამ შეუშალა. არა, ეს „ოქრო ბიჭი" და ლიგის მესამე ბომბარდირი იმ დღეს დარბაზში იყო, ითამაშა კიდეც, მაგრამ მხოლოდ საწყისი ოთხი წუთი, მერე კი დაიჩივლა, მგონი, მუხლი ვიღრძეო და თავისიანები მრისხანე მეტოქეს შეატოვა. „დინოზავრები" ლიდერს არ შეუშინდნენ, ბოლომდე გულიანად იბრძოლეს და სახელოვანი გამარჯვება გამოჰგლიჯეს. თავი არავის დაუზოგავს, მაგრამ მასპინძელთაგან მაინც ახალბედა ფრთა მორის პეტერსონი გამოირჩეოდა, რომელმაც „სიქსერზს" 22 ქულა ჩაუგდო და სეზონის (მისთვის იგივე კარიერის) რეკორდსაც გამოჰკრა ხელი. „ფილადელფიას" კი ვერც მისმა ჯილამ, 183-სანტიმეტრიანმა ალენ აივერსონმა უშველა. მან ჩვეულად დააწიოკა მეტოქის კალათი და 38 ქულაც მოაგროვა. მწვრთნელ ლარი ბრაუნის საამებლად არც გუნდური თამაში დაივიწყა და თანაგუნდელთ პასები არ დააკლო. შედეგად სტუმართა ხუთივე ძირითადმა ათი და მეტი ქულა გააზერზეს, თუმც მათ თითქმის შეუცვლელად ითამაშეს და იქნებ ამანაც დაღუპათ.

კარტერის არყოფნით „ფილადელფიამ" მხოლოდ პირველ მეოთხედში ისარგებლა და მცირეოდენით — 33:28 დაწინაურდა. მერე კი, შეხვედრის დასკვნით ეტაპზე სტუმრებს დაღლა დაეტყოთ. აივერსონმა, რომელმაც ფაქტობრივად მთელი შეხვედრა შეუცვლელად ითამაშა, არაზუსტ სროლებს უხშირა და „ფილიმ" ლიდერობა ხელიდან გაუშვა. ამ დროს კი მასპინძლები ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს და საკმაოდ ნაყოფიერადაც. „რეპტორზის" სათადარიგოებს, კარის და ვილიამსს შესაბამისად 17 და 16 ქულა მოუგროვდათ. მასპინძლებმა მესამე მეოთხედის მიწურულს ხელთ იგდეს უპირატესობა და სტუმრები დარჩენილ დროში მდევრად ამყოფეს.

„გაოცებული ვარ, საუკეთესო კალათბურთელი არ ჰყავდათ და ასე გვეთამაშნენ — ამბობდა ნამატჩევს სტუმარი ტაირონ ჰილი — თუმცა იქნებ კარტერის არყოფნამაც შეჰმატათ ბრძოლის ჟინი".

მატჩის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ვინს კარტერს მართლაც სერიოზულად უტკენია ფეხი. „ძალიან მტკივა, ექიმებიც ამბობენ, რომ ეს მსუბუქი ტრავმა არაა და ალბათ ჩემებს ატლანტაში ვერ გავყვები" — თქვა კარტერი.

კარტერი 23 წლის ჯან-ღონით აღსავსე ჯეელია და აქამდე სერიოზულად არ დაშავებულა. აი, 35 წლის პორტლენდელი სკოტი პიპენი ეს ბოლო წლებია, ლამის მოინელეს ტრავმებმა. სამი კვირაა, იგი მოედანზე არ გამოჩენილა, გუშინ კი მისმა კლუბმა განაცხადა, რომ იდაყვის ოპერაციას იკეთებს და გაურკვეველი ვადით ვერ ითამაშებსო. იმ დღით კი „პორტლენდი" მის ყოფილ გუნდს, „ჩიკაგოს" ეჭიდებოდა, რომელშიც პიპენმა 12 სეზონი გაატარა და „ხარების" ექვს ჩემპიონობაში არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა. მესამე წელია, რაც ლიგის მოზანზარე „ბულზი" დაიშალა და მას შემდეგ ცხრილის ფსკერს გაუშინაურდა. „ჩიკაგო" უსუსტესია ლიგაში და 29 გუნდში ერთადერთია, ვისი გამარჯვებებიც ერთციფრა რიცხვით გამოისახება. „ხარებს" მძლავრ „პორტლენდთან" ურიგოდ არ უთამაშიათ, ბოლო მეოთხედის დასაწყისში იგებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლომდე ვერ გაიტანეს ლელო. ეს „ხარების" ზედიზედ მეთორმეტე მარცხი იყო. ასეთი შედეგი კლუბის 35-წლიან ისტორიას არ ახსოვს.

თუმც ამ თამაშის შემდეგ „ჩიკაგოზე" აუგი არავის დასცდენია. სტუმრები შესაშური შემართებით შეეჭიდნენ მძლავრ მეტოქეს. „ოლ სტარს" მიღმა დარჩენილმა ჩიკაგოელმა თავდამსხმელმა ელტონ ბრენდმა ვარსკვლავთა შოუში მოხვედრილ რაშიდ ვოლესს ბევრი პრობლემა გაუჩინა და სულ 14 ქულას დააჯერა. ამაო ბრძოლაში დამაშვრალი ვოლესი ბოლო მეოთხედის დასაწყისში არავიდას საბონისმა შეცვალა. მანამდე 203-სანტიმეტრიანი ბრენდი თუ წარმატებით იბრძოდა რვა სანტიმეტრით მაღალი ვოლესის წინააღმდეგ, 221-სანტიმეტრიანი ლიტველი გიგანტის წინააღმდეგ ვეღარაფერი გააწყო. ბებერი არვიდასის ჭკუამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და გამარჯვება ფავორიტს დარჩა. „ასეთ გუნდებთან თამაშში მეტი მონდომება გვმართებს, თითქოს მათ იოლად უნდა მოერიო, მაგრამ მთელი ძალით გეთამაშებიან და ცდილობენ, ძლიერები თუნდაც სახელისთვის დაამარცხონ" — თქვა მატჩის შემდეგ „პორტლენდის" თავკაცმა მაიკ დანლივიმ.

„პორტლენდის" მხარდამხარ და მისი ჯახირის ფონზე იოლი გამარჯვება იზეიმა ამ სეზონში ბობოლათა მარაქაში გარეულმა „საკრამენტო კინგზმა". „მეფეებმა" თანაშტატელ „გოლდენ სტეიტ ვორიორზს" უმასპინძლეს და უახლოესი მეზობელი (ტერიტორიულად და არა ცხრილში) შინ ნაწყენი გაისტუმრეს. „მეომრებმა" თავიდანვე მთავარ „მეფეზე", კრის ვებერზე მიიტანეს იერიში იმ იმედით, რომ მისი გაჩერებით „საკრამენტოს" გააჩერებდნენ. ვინ არ სცადა ვებერის თამაშიდან გამოთიშვა, მაგრამ „ოლ სტარის" სასტარტო ხუთეულში პირველად მოხვედრილმა საკრამენტოელმა ყველას კუდით ქვა ასროლინა. მან სამ მეოთხედში სულ იოლად მოუყარა თავი 28 ქულას და ბოლო თორმეტწუთეულში სულ აღარ გამოჩენილა. მისი გასვლის დროს „კინგზი" უკვე ოცი ქულით იგებდა და უმისოდ ამ უპირატესობას კიდევ ექვსი წაუმატა.

„პორტლენდისა" და „საკრამენტოსგან" განსხვავებით, კიდევ ერთმა წყნაროკეანელმა „სიეტლ სუპერსონისქმა" 30 იანვარს შინ ვერ ივაჟკაცა. „სიეტლის" ზედიზედ ხუთმატჩა გამარჯვებათა სერიას „იუტა ჯაზმა" და კარლ მელოუნმა მოუღეს ბოლო. მელოუნმა საწყის წუთებში ჩააგდო და კარიერაში დაგროვილი ქულებით 32-ათასიან ზღვარს გადააბიჯა. მელოუნს ნბა-ში გატარებული 16 წლის შემდეგ სულ 32022 ქულა აქვს და მის წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარია უკვდავ რეკორდად შერაცხული 38387 ქულით. მელოუნმა თუ ასეთი რიხით გააგრძელა, სამ წელიწადში ჯაბარის რეკორდსაც დაამხობს.

შაკილ ონილის 145-კილოგრამიან სხეულს ტერფის სერიოზული ტკივილი ტანჯავს, რის გამოც გიგანტმა შაკმა „კლივლენდთან" შეხვედრაც გამოტოვა. მისმა თანაგუნდელმა კობი ბრაიანტმა კი ის გააკეთა, რასაც უმეტეს შემთხვევაში აკეთებს ონილის არყოფნაში, ან მისი უმოქმედობის დროს. კობი თავისიანთ მორიგი გამარჯვებისკენ წაუძღვა, 47 ქულას მოუყარა თავი და აქედან 23 საჯარიმოებით დააგროვა. მძლავრი მეფარის არყოფნა გუნდს არც ჰორას გრანტმა დაატყო, რომელმაც „ლეიკერსში" თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

„ოლ სტარში" პირველად და ერთობ მოულოდნელადაც მოხვედრით ფრთაშესხმულმა მაიამელმა ენტონი მეისონმა ჰიუსტონში თავისი გუნდისთვის ზედიზედ მეხუთე გამარჯვება გამოჭედა. არადა, არც მეისონი და არც არავინ ელოდა, რომ მას „ოლ სტარში" მონაწილეობის პატივი ერგებოდა. ძალისმიერი თამაშის გამო თანაგუნდელთაგან „პირუტყვად" წოდებული და შავ სამყაროს გაშინაურებული მეისონი სულაც არაა ურიგო მოთამაშე, თუმც სრულიად ამერიკის კალათბურთის ზეიმზე მისი ადგილი არ არისო, ასეთია წესიერ მოქალაქეთა აზრი.

**ირაკლი ფირცხვილი**



AP ფოტოქრონიკა

კლივლენდი — ლეიკერსი. მასპინძელი ჩაკი ბრაუნი (მარცხნივ) და კობი ბრაიანტი ბურთს მისდევენ




AP ფოტოქრონიკა

პორტლენდი — ჩიკაგო. რონ არტესტი პორტლენდელ შონ კემპს უფარებს

## კვირის მოთამაშე

### ტიმ დანკანი
### • სან ანტონიო •



წინა კვირის ყველაზე გამორჩეული გუნდი ექსჩემპიონი „სან ანტონიო სპურზი" გახლდათ და კვირის საუკეთესო მოთამაშედაც მისი ლიდერი, 213-სანტიმეტრიანი ტიმ დანკანი დასახელდა. მანამდე „სან ანტონიოს" უმძიმესი პერიოდი ედგა, „დეზებმა" ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს, რაც ბოლო ოთხ წელიწადში არ მომხდარა. გასულ კვირაში კი „სან ანტონიომ" დანკანის ძალისხმევით საქმე გამოასწორა და სამი მეტოქე დააჩოქა.

ტიმ დანკანმა და მისმა „სპურზმა" კვირა შინ უსახური „ვანკუვერის" 110:77 განადგურებით გახსნეს. კვირის რჩეულს თავი არ მოუკლავს, უხეირო მეტოქეს მისმა თანაგუნდელებმაც იოლად მოუღეს ბოლო, თუმც დანკანს მაინც მოუგროვდა 23 ქულა და 9 მოხსნა. მომდევნო მეტოქე — „საკრამენტო" „ვანკუვერზე" სერიოზული მოწინააღმდეგე გახლდათ, „კინგზი" სულაც ბობოლა გუნდებით გადაჭედილ დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს და საკრამენტოში ექსჩემპიონებს დიდი ჯაფა დაადგათ. საბოლოოდ „დეზებმა" 97:91 დაჩხვლიტეს მასპინძლები მათსავე რეზიდენციაში, რაშიც ლომის წილი, ცხადია, ტიმ დანკანმა დაიდო. მიუხედავად იმისა, რომ კვირის მომავალი რჩეული „მეფეთა" „მეფე" კრის ვებერს შეეჭიდა, მაინც მოახერხა სეზონში მისთვის სარეკორდო 36 ქულის მოხვეჭა და ამას არცთუ სახუმარო 21 მოხსნაც დაუმატა. კვირა კი დანკანისთვის სოლტ ლეიკ სიტიში იქაური „მოსისხლე" „იუტა ჯაზის" 99:86 ძლევით დასრულდა. დანკანს აქ ვებერზე არანაკლებ მძლავრ მეურვესთან, 37 წლის, მაგრამ ჯერაც მრისხანე კარლ მელოუნთან მოუხდა საქმის დაჭერა. როგორც ამ ბოლო ხანებში ხდება, სხვათა დამბრიყვებელმა მელოუნმა ვერც ამჯერად დაჯაბნა დანკანი, 33 ქულის, 10 მოხსნისა და ოთხი დაფარების გაკეთების საშუალება მისცა. სულ ამ სამ თამაშში დანკანს საშუალოდ 30,7 ქულა, 13,3 მოხსნა და 2,67 დაფარება მოუგროვდა.

დანკანის გარდა კვირის მოთამაშის ტიტულისთვის იბრძოდნენ ფილადელფიელი ალენ აივერსონი, დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზი, მილუოკელი სემ კასელი, ვაშინგტონელი ჯუონ ჰოვარდი და ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი. თუმც ტიტულის მოპოვების სურვილი ერთია, ტიმ დანკანთან გაჯიბრება კი — მეორე.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ფილადელფია | 34 | 11 | 75,6 |
| ნიუ იორკი | 26 | 16 | 61,9 |
| მაიამი | 28 | 18 | 60,9 |
| ორლანდო | 20 | 23 | 46,5 |
| ბოსტონი | 18 | 26 | 40,9 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 32 | 30,4 |
| ვაშინგტონი | 12 | 34 | 26,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 26 | 17 | 60,5 |
| შარლოტი | 25 | 21 | 54,3 |
| ტორონტო | 24 | 21 | 53,3 |
| კლივლენდი | 20 | 23 | 46,5 |
| ინდიანა | 20 | 24 | 45,5 |
| დეტროიტი | 16 | 29 | 35,6 |
| ატლანტა | 15 | 28 | 34,9 |
| ჩიკაგო | 6 | 38 | 13,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 29 | 15 | 65,9 |
| სან ანტონიო | 27 | 15 | 64,3 |
| დალასი | 28 | 18 | 60,9 |
| მინესოტა | 28 | 18 | 60,9 |
| დენვერი | 26 | 19 | 57,8 |
| ჰიუსტონი | 22 | 23 | 48,9 |
| ვანკუვერი | 12 | 32 | 27,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 30 | 12 | 71,4 |
| პორტლენდი | 33 | 14 | 70,2 |
| ლეიკერსი | 28 | 15 | 65,1 |
| ფინიქსი | 25 | 18 | 58,1 |
| სიეტლი | 26 | 22 | 54,2 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 31 | 31,1 |
| კლიპერსი | 13 | 32 | 28,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ALL STAR GAME
ვაშინგტონი, 9-11 თებერვალი

## სიტყვა მწვრთნელებმაც თქვეს

*30 იანვარს დასახელდა ის 24 სუპერვარსკვლავი, რომლებიც 11 თებერვალს ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში გასამართ „ოლ სტარში" ათეულობით მილიონი გულშემატკივრის თვალის გასახარად ერთმანეთს გაეჯიბრებიან. ორ გუნდში — აღმოსავლეთსა და დასავლეთში განაწილებული 12-12 მოთამაშისგან ხუთ-ხუთი, ცხადია, ძირითადი ხუთეულის წევრი იქნება, ხოლო შვიდ-შვიდი — სათადარიგო. თუმც ამ საჩვენებელ-სალაღობო შოუში ძირითადი და სათადარიგო ერთობ პირობითი ცნებებია.*

*ორი დღით ადრე გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად სასტარტო ხუთეულების დასახელების შემდეგ, 30 იანვარს, დანარჩენი შვიდ-შვიდი კაციც შეირჩა. სათადარიგოები ტრადიციულად ნბა-ს 29 გუნდის მწვრთნელებმა დაასახელეს პრინციპით: ორი უკანახაზელი, ორი ფორვარდი, ერთი ცენტრი და კიდევ ორი მოთამაშე ამპლუის განურჩევლად. ამასთან, მწვრთნელებს უფლება არ ჰქონდათ, თავიანთი შეგირდებისთვის მიეცათ ხმა. გუნდების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:*

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| **ხუთეული** | **ხუთეული** |
| ალენ აივერსონი<br>**უკანა ხაზი, ფილადელფია** | ჯეისონ კიდი<br>**უკანა ხაზი, ფინიქსი** |
| ტრეისი მაკგრეიდი<br>**უკანა ხაზი, ორლანდო** | კობი ბრაიანტი<br>**უკანა ხაზი, ლეიკერსი** |
| ვინს კარტერი<br>**ფორვარდი, ტორონტო** | კრის ვებერი<br>**ფორვარდი, საკრამენტო** |
| გრანტ ჰილი<br>**ფორვარდი, ორლანდო** | ტიმ დანკანი<br>**ფორვარდი, სან ანტონიო** |
| ალონზო მურნინგი<br>**ცენტრი, მაიამი** | შაკილ ონილი<br>**ცენტრი, ლეიკერსი** |
| **სათადარიგოები** | **სათადარიგოები** |
| სტივენ მარბერი<br>**უკანა ხაზი, ნიუ ჯერსი** | გერი პეიტონი<br>**უკანა ხაზი, სიეტლი** |
| რეი ალენი<br>**უკანა ხაზი, მილუოკი** | მაიკლ ფინლი<br>**უკანა ხაზი, დალასი** |
| ალან ჰიუსტონი<br>**უკანა ხაზი, ნიუ იორკი** | კევინ გარნეტი<br>**ფორვარდი, მინესოტა** |
| ჯერი სტეკჰაუზი<br>**უკანა ხაზი, დეტროიტი** | კარლ მელოუნი<br>**ფორვარდი, იუტა** |
| გლენ რობინსონი<br>**ფორვარდი, მილუოკი** | ანტონიო მაკდაიესი<br>**ფორვარდი, დენვერი** |
| ენტონი მეისონი<br>**ფორვარდი, მაიამი** | რაშიდ ვოლესი<br>**ფორვარდი, პორტლენდი** |
| თეო რეთლიფი<br>**ცენტრი, ფილადელფია** | დევიდ რობინსონი<br>**ცენტრი, სან ანტონიო** |
| მწვრთნელი: ლარი ბრაუნი<br>ფილადელფია | მწვრთნელი: რიკ ადელმანი<br>საკრამენტო |

## საპორტას თასი
მერვედფინალი. პირველი მატჩები. 30 იანვარი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 89:93 ანტვერპენი (ბელგია)
კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 69:67 ანვილი (პოლონეთი)
ბორაცი (ბოსნია) 89:74 კერავნოსი (კვიპროსი)
ბეშიქთაში (თურქეთი) 66:81 პამესა (ესპანეთი)
სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 93:110 ტელეკომი (გერმანია)
არისი (საბერძნეთი) 76:88 მარუსი (საბერძნეთი)
შალონი (საფრანგეთი) 80:64 პორტუ (პორტუგალია)
ჰაპოელი (ისრაელი) — უნიქსი (რუსეთი) წუხელ გაიმართა

*საპასუხო მატჩები გაიმართება 6 თებერვალს*



REUTERS

ცრვენა ზვეზდა — ანტვერპენი. სლობოდან სლივანჩანინი (მარცხნივ) ანტვერპენელი ოტის ჰილის წინააღმდეგ



# კაპრიატის ნახტომი


ჯენიფერ კაპრიატი

**მარტინა ჰინგისს** 1999 წლის ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ „დიდი სლემის" ტურნირი აღარ მოუგია, მაგრამ ქალების კლასიფიკაციას თუ გადახედავთ, ამას ვერაფრით იფიქრებთ. მელბურნში სეზონის პირველი „მეიჯორის" ფინალში მტკივნეული მარცხის მიუხედავად მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა უახლოეს მდევრებთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, ახლა მეორე ადგილზე მყოფ ლინდსი დევენპორტს თითქმის 2000 ქულით უსწრებს და დედოფლის გვირგვინს სულ ცოტა 2-3 თვით არავის დაუთმობს.

„ამ ერთ თვეში დავამტკიცე, რომ ნებისმიერი მოთამაშის დამარცხება ძალმიძს, ასეთ კარგ ფორმაში ადრე არასოდეს ვყოფილვარ. სამწუხაროდ, ძალები ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩისთვის აღარ მეყო" — განაცხადა შაბათს მარტინამ, რომელმაც იანვარში „ოუფენის" ფინალში გასვლის გარდა შერეული წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი — „ჰოპმანის თასი" და სიდნეის პირველობა მოიგო და ბოლო 35 მატჩში სულ ორჯერ იწვნია მარცხი.

ახლა მთელ ენერგიასა და ძალებს ჰინგისი „როლან გაროსისთვის" იკრებს, რადგან ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი ტურნირია, რომლის ტიტულიც ჯერჯერობით შვეიცარიელის კოლექციაში არ ინახება.

კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად წაიწია წინ მელბურნის ტრიუმფატორმა ჯენიფერ კაპრიატიმ. ყოფილმა ვუნდერკინდმა, რომელიც საუკეთესოთა ათეულში უკანასკნელად 1994 წლის 16 იანვარს ირიცხებოდა, მეთოთხმეტედან მეშვიდე პოზიციაზე აინაცვლა, რაც მხოლოდ ერთი საფეხურით ჩამორჩება მის საუკეთესო მაჩვენებელს.

„რა უნდა გავაკეთო, პირველ ათეულში ადგილი რომ შევინარჩუნო? „დიდი სლემის" ტურნირები უნდა მოვიგო — გაიხუმრა პრესკონფერენციაზე 24 წლის ამერიკელმა — სიმართლე გითხრათ, კლასიფიკაციას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ხეირიანად ვითამაშო და ტიტულები მოვიპოვო, მაშინ ყველაფერს თავისთავად მოევლება. მე კვლავ ვივარჯიშებ, ვიშრომებ და გპირდებით, აღარსად გავქრები, ძველმა შეცდომებმა ჭკუა მასწავლა".

არსად გაქრება ყურადღების ცენტრიდან 18 წლის ამომავალი ბელგიელი ვარსკვლავი ჟიუსტინ ენენიც. ჩია, მაგრამ მეტად ათლეტური, ქალთა ჩოგბურთში საუკეთესო ცალხელა ბექჰენდის პატრონი ენენი ამ კვირაში კარიერაში პირველად შევიდა კლასიფიკაციის პირველ ოცეულში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სეზონის ბოლომდე კიდევ ბევრს ჩამოიტოვებს უკან.

„ადრე თამაშის დროს კონცენტრირება მიჭირდა, ახლა კი ასაკის მატებასთან ერთად უფრო დავჭკვიანდი და მოწესრიგებული გავხდი. როგორც იქნა, პირადი პრობლემები მოვაგვარე და ტრავმებიც აღარ მაწუხებს, ასე რომ, წარმატებების მიღწევაში ხელს აღარაფერი მიშლის" — აღნიშნა მელბურნში ენენმა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დედა გარდაეცვალა, შარშან კი გაუხმაურებელი მიზეზების გამო მამასაც კამათით დაშორდა.

კაცებში გაორებული რეიტინგის არსს ერთხელაც აგიხსნით. „ჩემპიონთა რბოლა 2001" მხოლოდ ახალდაწყებული სეზონის შედეგებს ითვალისწინებს და მასში პირველ ადგილზე, ბუნებრივია, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ანდრე აგასია, მეორეზე — ფინალისტი არნო კლემანი.

კლასიფიკაციის ძველი სისტემა, რომლის ლიდერსაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ეწოდება და რომლის მიხედვითაც ჩოგბურთელები ტურნირების ძირითად ბადეში ხვდებიან და განითესებიან, გასული 52 კვირის 18 საუკეთესო შედეგის ჯამისგან შედგება. აქ 21 წლის რუსი მარატ საფინი ამ წუთისთვის სულ მცირედით უსწრებს ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს, თუმცა პირველობას, ალბათ, კარგა ხანს შეინარჩუნებს, რაკი შარშან ამ დროს მატჩს მატჩზე აგებდა და დასაცავი ერთი ქულაც არა აქვს.

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

| ქალები | | |
|---|---|---|
| 1.1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 6248 |
| 2.2. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4468 |
| 3.3. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4094 |
| 4.4. | მონიკა სელეში (აშშ) | 3521 |
| 5.6. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2454 |
| 6.5. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2404 |
| 7.14. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2274 |
| 8.7. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2126 |
| 9.8. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 2098 |
| 10.12. | ამანდა კუტცერი (სამხ. აფრიკა) | 1914 |
| 11.10. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1907 |
| 12.11. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1808 |
| 13.9. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1679 |
| 14.13. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1666 |
| 15.15. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1558 |
| 16.17. | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1374 |
| 17.16. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1367 |
| 18.18. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1264 |
| 19.20. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1260 |
| 20.22. | ჟიუსტინ ენენი (ბელგია) | 1231 |
| 21.21. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1116 |
| 22.33. | პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1076 |
| 23.23. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1064 |
| 24.25. | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 1026 |
| 25.27. | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1011 |
| 26.26. | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 994 |
| 27.30. | ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) | 951 |
| 28.19. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 918 |
| 29.24. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 912 |
| 30.31. | მეგან შონესი (აშშ) | 888 |
| 36.51. | დაია ბედანოვა (ჩეხეთი) | 791 |
| 56.63. | ივა მაიოლი (ხორვატია) | 586 |
| 59.72. | მართა მარერო (ესპანეთი) | 559 |

| ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2001-ში | |
|---|---|
| 1. ჯენიფერ კაპრიატი | 474 165 |
| 2. მარტინა ჰინგისი | 339 116 |
| 3. ვინუს უილიამსი | 213 156 |
| 4. ლინდსი დევენპორტი | 208 928 |
| 5. სერენა უილიამსი | 168 845 |
| 6. კორინა მორარიუ (აშშ) | 102 467 |
| 7. მონიკა სელეში | 98 236 |
| 8. ანა კურნიკოვა | 91 097 |
| 9. ჟიუსტინ ენენი | 89 927 |
| 10. ამანდა კუტცერი | 71 175 |

| კაცები | | |
|---|---|---|
| 1.2. | მარატ საფინი (რუსეთი) | 4265 |
| 2.1. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 4225 |
| 3.3. | პიტ სამპრასი (აშშ) | 3085 |
| 4.6. | ანდრე აგასი (აშშ) | 2765 |
| 5.4. | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 2755 |
| 6.7. | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 2485 |
| 7.5. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2480 |
| 8.8. | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 2415 |
| 9.9. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 2145 |
| 10.10. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2020 |
| 11.15. | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 1960 |
| 12.18. | არნო კლემანი (საფრანგეთი) | 1910 |
| 13.12. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1800 |
| 14.16. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1555 |
| 15.11. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1715 |
| 16.19. | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1710 |
| 17.13. | უეინ ფერერა (სამხ. აფრიკა) | 1695 |
| 18.14. | ფრანკო სკილარი (არგენტინა) | 1558 |
| 19.17. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1555 |
| 20.20. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1245 |
| 21.21. | მარიანო პუერტა (არგენტინა) | 1230 |
| 22.24. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 1130 |
| 23.26. | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 1125 |
| 24.23. | მარსელო რიოსი (ჩილე) | 1115 |
| 25.25. | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1110 |
| 26.42. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1080 |
| 27.29. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1078 |
| 28.27. | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1073 |
| 29.30. | მარკ როსე (შვეიცარია) | 1065 |
| 30.32. | ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) | 1055 |
| 34.35. | ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) | 949 |
| 35.52. | ტოდ მარტინი (აშშ) | 945 |
| 52.65. | გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 750 |

| ჩემპიონთა რბოლა 2001 | |
|---|---|
| 1. ანდრე აგასი | 200 |
| 2. არნო კლემანი | 146 |
| 3. სებასტიან გროჟანი | 106 |
| 4. პატრიკ რაფტერი | 90 |
| 5. დომინიკ ჰრბატი | 85 |
| 6. ევგენი კაფელნიკოვი | 62 |
| 7. ლეიტონ ჰიუიტი | 58 |
| 8. მაგნუს ნორმანი | 55 |
| 9. მარსელო რიოსი | 52 |
| 10. მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) | 51 |

## უილიამსი

**გუნდი დაარსდა 1968 წელს**
**გენერალური დირექტორი:** სერ ფრენკ უილიამსი
**ტექნიკური დირექტორი:** პატრიკ ჰედი
**BMW-ს სპორტული დირექტორი:** გერჰარდ ბერგერი
**ბოლიდი — 2001:** „უილიამს FW 23“
**ძრავა:** BMW-V10
**საბურავები:** „მიშელინი“
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1972 წლიდან
421 რბოლა; 103 მოგება; 108 პოული; 110 უსწრ. წრე; 2031,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 7; კონსტრუქტორთა თასი — 9
ტესტ-პილოტი მარკ ჟენე (ესპანეთი)



### რალფ შუმახერი
### გერმანია

დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში. ცხოვრობს მონტე კარლოში

სიმაღლე 178 სმ, წონა 73 კგ

უცოლო

დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)

66 რბოლა, 1 უსწრაფესი წრე, 86 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — V ადგილი (2000)

ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1997-98)

„უილიამსშია“ 1999 წლიდან



### ხუან პაბლო მონტოია
### კოლუმბია

დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოგოტაში. ცხოვრობს მონტე კარლოში.

სიმაღლე 168 სმ, წონა 72 კგ

უცოლო

„კარტის“ 1999 წლის ჩემპიონი

ფორმულა 1-ის დებიუტანტი

BMW.WilliamsF1Team

# ფრენკს თავისი ბიჭების შვილია

**სერ ფრენკ უილიამსის** გუნდი, ბოლო ათწლეულში ყველაზე ტიტულიანი, სამი სეზონია, კრიზისს განიცდის. ჩემპიონობას ვინღა ჩივის, ბრიტანული საჯინიბოს პილოტებს 50 რბოლიდან ერთიც ვერ მოუგიათ და მეორე ადგილიც კი სანატრელი გაუხდათ.

20 წლის ჯენსონ ბატონმა შარშან დებიუტანტის კვალობაზე მშვენიერ შედეგს მიაღწია — 12 ქულით მერვე ადგილზე გავიდა, თან ისეთი „ასები“ ჩამოიტოვა უკან, როგორებიც არიან: 1997 და 1999 წლების ვერცხლის პრიზიორები — ჰაინც ჰარალდ ფრენცენი და ედი ირვინი, აგრეთვე ჟან ალეზი, ჯონი ჰერბერტი... მიუხედავად ამისა, „რკინის ფრენკმა“ აშკარად პერსპექტიული თანამემამულე ამერიკულ „კარტის“ ჩემპიონ ხუან პაბლო მონტოიათი შეცვალა. შეფმა მსგავსი რამ ორი წლის წინაც მოიმოქმედა, როცა ფრენცენს ასევე ოკეანისგაღმა გაჩემპიონებული ალესანდრო ძანარდი ამჯობინა.

ის ნაბიჯი მცდარი გამოდგა — „კარტში“ სახელდაგდებულმა იტალიელმა ფორმულის ტრასებზე კინკილა ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო. ახალი სვლა რა შედეგს გამოიღებს, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო რბოლების ისტორიაში მეორე კოლუმბიელმა უცებ აუღო ალღო „კარტისგან“ ბევრად განსხვავებულ ევროპულ ტექნიკას და პირველივე ტესტებზე მშვენიერი შედეგები აჩვენა. მაგრამ მთელ გუნდს ვარჯიშზე ნაჩვენებ წამებზე მეტად სადღეისოდ მრბოლების ურთიერთდამოკიდებულება აღელვებს. „უილიამსის“ პრიმა პილოტი რალფ შუმახერი და ამბიციური მონტოია ჯერ კიდევ გაცნობამდე სიტყვიერად წაეკიდნენ ერთმანეთს. პრესითა და ტელევიზიით ხუანს არაერთხელ უთქვამს, რომ ფორმულაში მაღალი მიზნებით მოვიდა და სულაც არ თვლის რალფს გუნდის ლიდერად. რაღაცნაირად გარდაუვალია კონფლიქტი, არავინ იცის. უილიამსს კი იმედი აქვს, რომ თანატოლი „ბიჭები“ მეგობრები თუ არ გახდებიან, ნორმალური ადამიანური ურთიერთობა მაინც ექნებათ და ბოლმას ტრასაზე არ გაიტანენ.

„ფრენკი და კომპანია“ დამდეგ სეზონში უმთავრეს ამოცანად რამდენიმე ეტაპის მოგებასა და „ფერარისთან“ და „მაკლარენთან“ კატასტროფული ჩამორჩენის შემცირებას მიიჩნევს. უფრო მაღალი შედეგის მიღწევა მათ შესაძლებლობებს აღემატება, იმის მიუხედავად, რომ BMW-ს ახალი ძრავა უფრო კომპაქტური და მძლავრია.

**გია ახალაძე**



„უილიამსის“ ღირსებას რალფ შუმახერთან (მარცხნივ) ერთად ახალბედა ხუან პაბლო მონტოია დაიცავს

# ვილნევს დენი წაუვიდა

**თუ** სათაურის მიხედვით დაასკვნით, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ექსჩემპიონი ჟაკ ვილნევი მშობლიურ კანადაში, ან მონტე კარლოში მდებარე მდიდრულ ვილაში თბილისელთა მსგავსად უშუქობით იტანჯება, ძალიანაც შეცდებით. 29 წლის მრბოლს სულ სხვა, არანაკლებ სასიამოვნო დენი — მომღერალი მინოუგი გაუფრინდა.

ავსტრალიელი პოპ-ვარსკვლავის, მზეთუნახავი კაილი მინოუგის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლებ მშვენიერი და და ვილნევი უკვე ორი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს. შარშან ისინი დაინიშნენ კიდეც და ქორწილის გეგმებსაც აწყობდნენ, მაგრამ...

„მათი ურთიერთობა ნელ-ნელა გაცივდა და მგონი, ორივე მიხვდა, რომ ქორწინებას აზრი აღარ ჰქონდა. თაფლობის თვე მათთვის კარგა ხანია, დასრულდა, უკვე ხშირად კამათობდნენ კიდეც, ასე რომ, დროზე უშველეს თავს. ასე მეგობრებად მაინც დაშორდებიან“ — განუცხადა ინგლისურ ბულვარულ „სანს“ წყვილის ერთმა საერთო ნაცნობმა.

ვილნევმა მინოუგი 1999 წლის ივნისში, ესპანეთის გრან პრის დროს გაიცნო. ქალ-ვაჟს ერთმანეთი თვალში მაშინვე მოუვიდა და შემოდგომაზე მომღერალი მონაკოში, კანადელის 3-მილიონდოლარიან სახლში გადაბარგდა. ნიშნობა ხუთ თვეში, ლონდონში რომანტიკული სადილის დროს შედგა.

თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მენდელსონის მარშამდე და ეკლესიაში ბეჭდების გაცვლამდე საქმე არ მივიდა. გასულ კვირაში ვილნევმა და 28 წლის მინოუგმა მეგობრებს განუცხადეს, რომ ერთმანეთს შორდებოდნენ, რაკიღა მათ შორის ურთიერთგაგება დაიკარგა.

**დავით ხარზიანი**




„სანს“ თუ ვენდობით, ჟაკ ვილნევი დენი მინოუგის ვეღარ აკოცებს



# რუმინეთმა შინ დაკარგული ავსტრალიაში იპოვა

## ვინძლო, ქართველებმა უკეთ ვუპატრონოთ

**გუშინდელ** „სარბიელში“ წაიკითხავდით, რუმინეთის რაგბის კავშირს დიდი პრობლემა რომ შეექმნა — მისი ოფისიდან ევროპის ერთა თასის ტურნირისათვის საგანგებოდ დამზადებული თასი გაუჩინარდა. გეხსომებათ, შარშან ევროპის ერთა თასის პირველი გათამაშება გაიმართა. გადამწყვეტ მატჩში რუმინეთმა თბილისში საქართველოს ნაკრები დაამარცხა და ჯილდოს დაეპატრონა.

ერთა თასის რიგით მეორე გათამაშება 4 თებერვალს იწყება. რუმინელები პორტუგალიას სტუმრობენ და კარსმომდგარი ტურნირისათვის პრიზი მოიკითხეს, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაკვლიეს. ვის არ მიმართა რუმინეთის რაგბის კავშირის უფროსობამ დახმარებისათვის, მაგრამ მათი ყველა ცდა, თასის ადგილსამყოფელი დაედგინათ, ამაო გამოდგა. ყველაფერი ამის შემდეგ, ეტყობა, რუმინელებს დაკარგულის პოვნის თავადაც ნაკლებად სჯეროდათ. რაღა გაეწყობა, აზრი არა აქვსო, იფიქრეს ალბათ იქაურმა რაგბის მამებმა და IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) თხოვნით მიმართეს, ოღონდ ტურნირის დაწყებამდე ახალი თასი დაგვიმზადეთ, ათას მწვანეს გადავიხდითო. სწორედ ამ დროს კავშირის პრეზიდენტ დუმიტრიუ მიხალჩეს ავსტრალიიდან ნაკრების კაპიტანი კატალინ დრაგუჩიანუ შეეხმიანა. საუბრის შემდეგ გახარებულმა პრეზიდენტმა მთელ დუნიას ამცნო, რომ თასი თურმე ავსტრალიაში, დრაგუჩიანუს ბინის ერთ-ერთ ოთახს ამშვენებს.

საიდან სადაო, გაიკვირვებს მავანი და მართალიც იქნება. ცნობისათვის: კატალინ დრაგუჩიანუ რუმინეთის ნაკრების კაპიტანია და სანაკრებო დონეზე 31 კეპიც მოუხვეჭავს. შარშან ოცდაათს მიტანებულმა კატალინმა სამშობლო დატოვა, ბურთაობის გაგრძელება მწვანე კონტინენტზე არჩია და პირად ნივთებთან ერთი თასიც თან წაიღო. „მინდოდა, ჩემს ახლო მეგობრებთან თასით მომეწონებინა თავი. მერე სულ გადამავიწყდა, რომ უნებართვოდ წამოვიღე კავშირის ოფისიდან, მაგრამ ამხელა ამბავი თუ ატყდებოდა, ნამდვილად არ ველოდი. ამ დღეებში თასს ფოსტით უკან გავაგზავნი“ — განაცხადა დრაგუჩიანუმ.

ჩვენ კი ერთსაც დავძენთ, როგორც დრაგუჩეანუ ირწმუნება, თასი მან ერთი წლის წინათ გააყოლა ხელს. ჰოდა, რაღა ახლა აღმოაჩინა რუმინეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მისი გაუჩინარება? ეგებ აქამდეც იცოდნენ, მაგრამ პოვნის იმედი ჰქონდათ, მაგრამ რომ ვერაფერს გახდნენ, ფაქტის დამალვა აღარ ღირდა და განგაში ატეხეს. როგორც ხედავთ, ამან შედეგი გამოიღო. იმედია, ხსენებული თასი ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში დაიდებს ბინას. ვინძლო ჩვენ უკეთ მოვუაროთ.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ ანტონი (ავსტრია)

# ძალიან სახალისო ამბავი

## ავსტრიელებს ამერიკელმაც ჩაუსრიალა



REUTERS სანქტ ანტონიდან

**დერონ რალვსი**

დაიბადა 1973 წლის 12 ივნისის ტრაკიში, კალიფორნია. მისმა მშობლებმა ერთმანეთი კოლორადოში, სათხილამურო კურორტ ასპენში გაიცნეს და ვაჟი ვერმონტის სკოლაში მიაბარეს, სადაც მან თხილამურებით სრიალი ისწავლა. რალვსის კარიერა 1996 და 1998 წლებში თეძოს ამოვარდნამ შეაფერხა. ნაგანოს ოლიმპიადაზე სუპერგიგანტში მეშვიდე იყო. ამ სეზონში უბეირო სტარტის შემდეგ ორი კვირის წინ კიცბუელის ტრასაზე სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასის ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა.

**ამიერიდან** ამერიკელებს რომ ჰკითხოთ, სუპერგიგანტში მსოფლიოს ჩემპიონი თუ გყოლიათო, დერონ რალვსს დაგისახელებენ. რალვსს, რომელმაც ავსტრიის ქალაქ სანქტ ანტონში ავსტრიელი ვარსკვლავი ჰერმან მაიერი ჩამოიტოვა.

რალვსი ის კაცია, კარიერაში, მსოფლიო თასის ორადორ ეტაპზე რომ გაუმარჯვია. მან ერთ წუთსა და 21,46 წამში გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ერთ წუთსა და 21,54 წამში ფინიშის ხაზთან ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი მისრიალდა — იგი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ზემოხსენებული მაიერი (1:21,69) მესამე ადგილზე დარჩა.

ამერიკელის გამარჯვება მის თანამემამულეთათვის, წესით, ფსიქოლოგიურად უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. საქმე ის გახლავთ, რომ გაისად ზამთრის ოლიმპიადაა, რომელსაც სწორედ შეერთებულმა შტატებმა, კერძოდ სოლტ ლეიკ სიტიმ უნდა უმასპინძლოს.

„წარმოუდგენელი ამბავია. ამ დილით რომ გავიღვიძე, თავს საძაგლად ვგრძნობდი. სულ არ ვიყავი შეჯიბრების გუნებაზე, მაგრამ, გავიმარჯვე. თუმცა, მეორე მხრივ, დიდი ტურნირები განსაკუთრებით მიყვარს და ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა" — ასე შეაფასა ჩემპიონმა თავისი ჩემპიონობა.

რალვსის გამარჯვებამ ბევრს სხვა ამერიკელი, ტომი მო გაახსენა, რომელმაც 1994 წელს, ლილეჰამერის ოლიმპიადაზე სამშობლოს სამთო სათხილამურო საქმეში პირველი ოქრო უძღვნა — მან სწრაფდაშვებაში გაიმარჯვა.

წარმოიდგინეთ, ამ ამბის შემდეგ რა დღეში ჩავარდებოდნენ ავსტრიელები, რომელთაც სპორტის ამ სახეობაში ბადალი არ ჰყავთ. მით უფრო, რომ წინა დღეს ავსტრიელ ქალებს იმავ სუპერგიგანტში ძალიან უსახური შედეგები ჰქონდათ.

როგორც მოგახსენეთ, რალვსის მერე, მეორე ადგილზე შტეფან ებერჰარტერი გავიდა. იგი 31 წლისაა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვება სჩვევია. პირველად ებერჰარტერმა ზუსტად 10 წლის წინ მოიგო ოქრო, როდესაც პირველობას ავსტრიულმა ზაალბახმა უმასპინძლა. მეორედ სამი წლის წინ ზეიმობდა წარმატებას, მუხლის ხუთი მძიმე ოპერაციის შემდეგ.

მაგრამ ებერჰარტერი მსოფლიოს თასის ათი ეტაპის განმავლობაში ვერაფერს უხერხებდა მაიერს. მაიერი პირველზე გადიოდა, იგი მეორეზე. იგივე მოხდა 1998 წელს ნაგანოს ოლიმპიადაზეც. და აი, სანქტ ანტონში სურათი შეიცვალა, ებერჰარტერმა „ჰერმინატორს" გაასწრო — დაასწრო, თუმცა აქ საუბარი პირველ-მეორეზე კი არა, მეორე-მესამე ადგილებზე გახლდათ.

„ჩემთვის იღბლიანი შეჯიბრება გამოდგა. მაიერი ხომ დიდი ფავორიტი იყო. ამიტომ რალვსსაც ყველა ჩვენგანმა უნდა მიულოცოს. ამერიკელს ფავორიტად არავინ მიიჩევდა, მან კი ჩინებულად ისრიალა და პირველ ადგილზე სრულიად სამართლიანად გავიდა" — თქვა ებერჰარტერმა.

მაიერმა კი განსაკუთრებული ყურადღება თავის იმ შეცდომას დაუთმო, დასაწყისშივე რომ დაუშვა: „ახლა გაზეთებს სალაპარაკო მიეცათ, თუმცა დიდად გულდაწყვეტილი მაინც არ გახლავართ. დასაწყისში შეცდომა დავუშვი და შემდეგ, მისი გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა. კიდევ კარგად ვისრიალე, თორემ, ასეთი შეცდომის შემდეგ ფინიშის ხაზი კიდევ 30 წამით გვიან უნდა გადამეკვეთა".

მეოთხე ადგილზე კი ნორვეგიელი ლასე კიუსი გავიდა. კიუსიც კარგად იცნობს მაიერს, 1999 წელს მასთან ერთად გაიყო ტიტული, მაგრამ ამ ჩემპიონატზე მისი არათუ კარგი გამოსვლა, საერთოდ მონაწილეობაც საკითხავი გახლდათ. ნორვეგიელი ჯერ გრიპმა დატანჯა, მერე მუცლის გვრემამ.

„ჩემპიონატის ასე დაწყებას რა უშავს, თუმცა ცოტა გაწბილებული მაინც ვარ, რადგან ბოლო მოსახვევების უკეთ გავლაც შეიძლებოდა" — განაცხადა გვრემამორჩენილმა და რალვსის მიერ მაიერის დაჯაბნას სახალისო, ძალიან სახალისო ამბავი უწოდა.

სახალისო ის იყო, რომ, როგორც თავად რალვსმა მოიგონა, როდესაც მან ფინიშის ხაზი გადაკვეთა, სანქტ ანტონის ტრასისპირას შეკრებილი 22 ათასი მაყურებელი დადუმდა. შემდეგ ამერიკელს დაუნახავს, რომ მისი გვარის გასწვრივ ერთიანი წერია და შემცბარა, შეცდომა ხომ არ მოუვიდათო.

„შემდეგ, ნელ-ნელა, გონსმოსულმა ხალხმა ტაში დამიკრა და მეც ვიფიქრე, როგორც ჩანს, მართლა პირველი ადგილი დავიკავე-მეთქი" — იხსენებდა გახარებული.

ამერიკის ნაკრების მწვრთნელი ბილ იგანი: „მეგობრებს ვურჩიე ფული დერონის გამარჯვებაზე დაედოთ".

ერთი სიტყვით ასეა, ამერიკელ მოთხილამურეებს დევიზად ესა აქვთ: „დიდი გამარჯვება ან არაფერი".

**ტუტა სიხარულიძე**

| ვაჟები. სუპერგიგანტი |
| --- |
| 1. დერონ რალვსი (აშშ) 1:21,46 |
| 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1:21,54 |
| 3. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:21,69 |
| 4. ლასე კიუსი (ნორვეგია) 1:21,73 |
| 5. დიდიე კუში (შვეიცარია) 1:21,95 |



REUTERS სანქტ ანტონიდან

დერონ რალვსი ოქროსკენ მისრიალებს

NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ბოსტონიდან

ბოსტონი — სენტ ლუისი. მაიკ ისტვუდმა ბოსტონელი მაიკ ელორანტა ბორტს მიღმა გადააგდო

# მეფეებმა ფრინველთმეფე გაპუტეს

30 იანვარი

**ბოსტონი 5:1 სენტ ლუისი (3:0 1:1 1:0)**
1:0 სამსონოვი 7(21), 2:0 როლსტონი 18(9), 3:0 აქსელსონი 20(4), 3:1 მაიერსი 34(6), 4:1 გერინი 39(27), 5:1 აქსელსონი 52(5)

**ვაშინგტონი 1:1 ოტავა (1:0 0:0 0:1 0:0)**
1:0 ჰალპერნი 10(8), 1:1 ალფრედსონი 42(10)

**ტამპა 4:3 ფლორიდა (1:0 1:1 2:2)**
1:0 სენტ ლუისი 10(8), 2:0 კუბინა 22(8), 2:1 სუიტნი 34(9), 3:1 ურინერი 49(5), 3:2 პ. ბურე 54(29), 4:2 ურინერი 56(6), 4:3 უიტნი 59(10)

**ვანკუვერი 3:2 მინესოტა (0:1 1:1 1:0 1:0)**
0:1 გაბორიკი 16(12), 1:1 დრაკენი 32(11), 1:2 გეივი 36(7), 2:2 კლეტი 46(9), 3:2 ოლუნდი 62(6)

**სან ხოსე 1:3 კოლორადო (1:1 0:0 0:2)**
1:0 კოროლიუკი 2(6), 1:1 პოდინი 9(12), 1:2 დრური 47(14), 1:3 ნიემინენი 54(5)

**ნიუ ჯერსი 3:1 დეტროიტი (0:1 3:0 0:0)**
0:1 მაკარტი 13(9), 1:1 ელიაში 29(19), 2:1 სიკორა 38(18), 3:1 ჰოლიკი 60(11)

**ატლანტა 3:6 პიტსბურგი (1:0 2:4 0:2)**
1:0 დონოვანი 7(9), 2:0 გ. მერფი 25(2), 2:1 ლანგი 26(19), 2:2 სტივენსი 27(4), 2:3 მორანი 33(2), 3:3 ბრიუნეტი 36(11), 3:4 ლემიე 40(15), 3:5 სტრაკა 42(20), 3:6 იაგრი 60(29)

**კალგარი 3:5 ედმონტონი (1:1 1:0 1:4)**
0:1 ჰოტი 5(7), 1:1 ლოური 19(13), 2:1 სავარი 33(17), 2:2 ბრიუერი 46(2), 2:3 კარტერი 47(11), 2:4 კარტერი 48(12), 3:4 იგინლა 57(16), 3:5 მორი 60(6)

**ლოს ანჯელესი 8:0 დალასი (3:0 3:0 2:0)**
1:0 შტუმპელი 3(13), 2:0 პალფი 12(25), 3:0 ემერსონი 18(7), 4:0 რ. ბლეიკი 25(17), 5:0 რაინპრეხტი 32(12), 6:0 რობიტაილი 40(22), 7:0 ლაპერიე 50(6), 8:0 რობიტაილი 54(23)

კარგა ხანია, დალასის მეკარე ედ ბელფორს ასე ცუდად არ ჰქონია საქმე. იანვარი მეტად უიღბლო თვე გამოდგა მისთვის. ჯერ იყო და, ვარჯიშზე გამოუცხადებლობის გამო გუნდის მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა იგი შერისხა და რამდენიმე მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, შემდეგ ბელფორმა ფორმა დაკარგა და ჯიბრზე მისი შემცვლელი მარტი ტურკოც ისე ათამაშდა, რომ ლამის სათადარიგოებში გადაისროლა კოლეგა. თვის ბოლო მატჩში კი „არწივს" (ედის მეტსახელია) საბოლოოდ შეეკვეცა ფრთები. სამთამაშიანი უიღბლობით გაგულისებულმა ლოს ანჯელესმა, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანა, მთელი ბოღმა დალასის მეკარეს დაანთხია თავს და ბელფორს ეს მატჩი მის კარიერაში, ალბათ, ყველაზე საშინელ კოშმარად უქცია.

„წინა მატჩებშიც ბევრ მომენტს ვქმნიდით, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაგვქონდა. ამჯერად კი ყველაფერი გამოგვივიდა" — თქვა „მეფეების" კაპიტანმა რობ ბლეიკმა, რომელმაც მე-17 შაიბით (მცველთა შორის ლიდერობს) და პასით თავისი წვლილი შეიტანა დალასის განადგურებაში.

და მართლაც, მასპინძლებს თავიდანვე კარგად წაუვიდათ საქმე. უკვე მესამე წუთზე იოზეფ შტუმპელმა კარის სიახლოვეს იყოჩაღა და დამატებაზე ყველას დაასწრო. შემდეგ ზიგმუნდ პალფიმ სოლო-რეიდი განახორციელა და ბელფორს შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა. ამით როდი დამთავრდა დალასისა და მისი მეკარის აბუჩად აგდება. კიდევ ხუთმა მოთამაშემ მიაღწია წარმატებას, საბოლოო წერტილი კი ვეტერანმა ლუკ რობიტაილმა დასვა. ამას დაუმატეთ ჰიჩკოკის სასჯელიც. „ვარსკვლავთა" მწვრთნელმა არსებული დაუწერელი კანონი დაარღვია და ედი მატჩის ბოლომდე არ შეცვალა, რითაც მთელი პასუხისმგებლობა წაგების გამო მას დააკისრა. ასე იყო თუ ისე, ლოს ანჯელესმა თავის ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით მოიგო მშრალად, ხოლო ბელფორი... იგი, ალბათ, შეეცდება, რაც შეიძლება მალე დაივიწყოს ავადმოსაგონარი 2001 წლის იანვარი (32 გოლი 8 მატჩში).

მარიო ლემიეს კი საკმარისი საბაბი აქვს საიმისოდ, რომ კმაყოფილი იყოს. ჯერ ერთი, მისმა გუნდმა მორიგი გამარჯვებით კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები საპლეიოფო ბრძოლაში, თავად მარიომ კი 3 (გოლი და ორი პასი) ქულა მიითვალა და 15 შეხვედრაში უკვე 31 (15 გოლი, 16 პასი) ქულას მოუყარა თავი. მისმა მეგობარმა და პარტნიორმა იარომირ იაგრმაც დასძლია კრიზისი და ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე აინაცვლა (მორიგი გოლისა და პასის შემდეგ 68 ქულა დააგროვა). მეორეც, ლემიე „ოლ სტარის" მატჩში ჩრდილო-ამერიკის ნაკრების კაპიტნად დანიშნეს და 4 თებერვალს პარტნიორებს თავად გაუძღვება ყინულზე.

შაბათს, ატლანტასთან შეხვედრაში, პიტსბურგელებმა ექვსჯერ ატეხეს ჩხუბი და მეტოქეს ლემიეს პროვოცირება არ დაანებეს. ამას წინათ გაკრიტიკებული მეტიუ ბარნაბი ორჯერ შეეჯახა ატლანტელ დარსი ჰორდიჩუკს, რომელსაც შემდეგ ბილ ტიბეტსმა ლამის თავი გაუტეხა. მართალია, ამისთვის ამ უკანასკნელმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რადგან ატლანტელს მაშინ დაესხა თავს, როცა ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამან გრანდიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია. სამშაბათს ომი კვლავ გაგრძელდა. არადა, პირველმა ორმა პერიოდმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, მერე კი, როცა იაგრმა საბოლოოდ გადაწყვიტა თამაშის ბედი, „მეომრები" კვლავ გააქტიურდნენ და ზემოხსენებული ბარნაბი პოლონელი გიგანტის, კშიშტოფ ოლივას დახმარებით კიდევ ორი ხელჩართული ბრძოლის მოთავე გახდა.

დეტროიტს კი ჩავარდნა აქვს. ამას წინათ აუტსაიდერ ტამპასთან შეხვედრის პირველ პერიოდში გუნდმა ვერც ერთი დარტყმა ვერ განახორციელა, მაშინ, როცა მისმა მეტოქემ 20-ჯერ დაარტყა. ამჯერად კი მათ ნიუ ჯერსისთან მატჩის მეორე პერიოდში განიცადეს ფიასკო: დარტყმების დაახლოებით იგივე თანაფარდობა (3:22) და კვლავ სამი გაშვებული გოლი.

სხვათა შორის, სწორედ ნიუჯერსელი სკოტ ნიდერმაიერი შეცვლის „ოლ სტარზე" კიდე ერთ დაშავებულ სენტლუისელს, მცველ ელ მაკინისს. მსოფლიოს ნაკრებს კი კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი უკაპიტნებს. სამშაბათს მისმა ბრწყინვალე გუნდმა მაღაზე მოსული სან ხოსე შეაჩერა, რომელმაც მანამდე დალასსა და სენტ ლუისს მოუგო. „ეველანშმა" ეს ჯო საკიკის სამეულის დახმარების გარეშე მოახერხა, თავად ფორსბერგმა კი გადამწყვეტ, მეორე შაიბას ჩაუყარა საფუძველი.

ედმონტონში წლეულს გადასულმა შავკანიანმა ფორვარდმა ენსონ კარტერმა იქნებ არც იცოდეს, თუ რა პრინციპულია მისი ახალი გუნდისა და კალგარის დაპირისპირება. ორივე გუნდი კანადის ერთსა და იმავე პროვინციას ეკუთვნის და მათ პაექრობას „ალბერტას ომს" უწოდებენ. ამიერიდან, უეჭველია, ენსონიც მტრად მოეკიდა „ალებს", რადგან მისი ორი გოლის წყალობით „მენავთობეებმა" გამარჯვება მოიპოვეს და კონკურენტი კიდევ უფრო დიდი სხვაობით ჩამოიტოვეს.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS პარიზიდან

# აი, ჯირითი

პარიზის ვენსანის პარკში ეს წუთია გასრულდა მსოფლიოს უგანთქმულესი ორთვალათა რბოლა — „პრის დ ამერიკი". ორიათასშვიდასმეტრიანი ჯირითი იტალიელმა მეეტლემ ჯან პაოლო მინუჩიმ და მისმა კოხტა წაბლამ, „ვარენემ" მოიგეს.



REUTERS ბალტიმორიდან

# ბალტიმორის სიხარული

ეს ის დღეებია, როცა მთელი ბალტიმორი ქუჩებში გამოფენილა, ზეიმობს, ხარობს და უკვდავად მიიჩნევს თავის გმირებს. ორშაბათლამ ოცდამეთხუთმეტე „სუპერბოულში" ნიუიორკელ „ჯაიანთთა" მძლეველი იქაური „რევენზი" (ყორნები) ახლა ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობად ქცეულა. ხუმრობა ხომ არ არის? ამერიკულ ბურთაობის წლის მთავარი შეხვედრის 34:7-ზე მომგებ გუნდს მშობლიურ ქალაქში „ლომბარდი ტროფი" ჩამოუტანია. ყორანთა მცველ ტონი სირაგუზას კი ასე ბედნიერს ალბათ არასოდეს უსეირნია ბალტიმორის ქუჩებში. მის პატარა ქალიშვილს ჯერ ხეირიანად ვერც გაუგია, თუ რატომ იხდის მამა წარამარა კეპს და ერსა და ბერს ესალმება.

ასეა, ბალტიმორი, რომელიც აქამდე განთქმული აკვარიუმით და იმით იყო ცნობილი, რომ იქაურ სადგურის გრძელ სკამზე თეთრი ციებ-ცხელებით აღესრულა პოეტი ედგარ პო, ახლა იმითაც განითქვა, რომ სუპერბოული უპყრია.

# კვლავაც უსწრაფესნი

მსოფლიოს ჩემპიონები არიან კრისტოფ ლანგენი და მარკო იაკობსი. ორკაცა ბობსლეის ეს გერმანელი გმირები ახალ ჩემპიონატსაც წარმატებით იწყებენ. სენტ მორიცის ყინულიან გზაზე, მათ ჯამური შედეგი საუკეთესო აქვთ და შეჯიბრის ორი დღის თავზე ლიდერები გახლავან.



REUTERS სენტ მორიციდან

# დაფით თოვლზე



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

იტალიურ სამთო ალაგ მადონა დი კამპილიოში კვლავ სნოუბორდის ოსტატები შეყრილან. დაფით თოვლზე მოქრიალეთა შეჯიბრზე არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო ჩემპიონობისთვის ჭიდაობენ. კაცთა დაშვების გამარჯვებული შვეიცარიელი გიიომ ნატერმონდი გამხდარა, მეორე ადგილი გერმანელ მარკუს ებნერს დაუჭერია, მესამე კი აი, ამ ფოტოზე აღბეჭდილი თავზეხელაღებული ავსტრიელი ალექსანდრ მეიერი შექნილა.



REUTERS ბალტიმორიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე ჭელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge